მასწავლებლის წიგნი

ქართული ენა უცხოელი შემსწავლელებისთვის

ირბახი

A1

ენის გასაღები

www.geofl.ge

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

აღმართი A1

მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნში დეტალურად არის აღწერილი შემსწავლელის წიგნსა და სამუშაო რვეულში მოცემული აქტივობების (დავალებებისა და სავარჯიშოების, პროექტების) მიზნები. აქტივობების ნუმერაცია მისდევს შემსწავლელის წიგნის ნუმერაციას. სამუშაო რვეულის დავალებების მიზნები საჭიროების მიხედვით არის მოცემული შემსწავლელის წიგნის დავალებებ-თან ერთად სინქრონული თანამიმდევრობით.

მოსმენისა და კითხვის ტიპებიდან სხვადასხვა აქტივობაში გათვალისწინებულია ვარჯიში გაგების 3 ტიპზე: გლობალური გაგება, სელექციური (შერჩევითი) გაგება და დეტალური გაგება (ტერმინთა განმარტებისთვის იხ. ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდიკა, თეორიული კურსი, თავი 2).

მასწავლებლის წიგნზე მუშაობდნენ:

ავტორი — თეა ტეტელოშვილი
რედაქტორი — მარიკა ოძელი
დამკაბადონებელი — ქეთევან ლომიშვილი

სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში.

პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი — მარიკა ოძელი

www.geofl.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახი“, 2020 წელი.

„ქართული ანბანი“

(ზოგადი)

„ქართული ანბანი“ არ წარმოადგენს ტრადიციული ტიპის გაკვეთილს და შესაბამისად „სავარჯიშოების რვეულშიც“ არ აქვს მას შესატყვისი დავალებები, როგორც ყველა სხვა გაკვეთილს. „ქართული ანბანი“ ზოგადი, შესავალის სახის ნაწილია სახელმძღვანელო „აღმართში“ (A1) და მიზნად ისახავს, შემსწავლელმა თვალი და ყური შეაჩვიოს ქართული ასოების მოხაზულობას, მათი წარმოთქმის თავისებურებას. მასში წარმოდგენილი სავარჯიშოები შესაძლოა სრულად გამოტოვოს იმ შემსწავლელმა, რომლისთვისაც ასე თუ ისე ნაცნობია ქართული ანბანი.

1. პირველი დავალება ემსახურება ქართული ბგერების ჟღერადობისა და მათი გრაფიკული მოხაზულობის შეჩვევას. შესაძლოა, შემსწავლელმა სურვილი-სამებრ რამდენჯერმე მოისმინოს ეს დავალება როგორც მასწავლებელთან, ისე დამოუკიდებელი მუშაობისას. დასაშვებია, იგი საჭიროებისამებრ არაერთხელ დაუბრუნდეს ამ სავარჯიშოს ანბანის შესწავლის საფეხურზე. დავალებაში წარმოდგენილი ასოების მოხაზულობა შემსწავლელს აჩვევს ქართული ასოების სამრეგისტრიან დაწერილობას.

2. მე-2 დავალების შესრულებისას შემსწავლელები ჯერ ისმენენ სეგმენტებად დანაწევრებულ ასოებს და შემდეგ შეძლებისდაგვარად იმეორებენ. ასეთ შემთხვევაში ისინი ეცნობიან ქართული ასოების არტიკულაციას.

3. მე-3 დავალება ხელს უწყობს ქართული ასოების გრაფიკულ მოხაზულობასთან შეჩვევას. შემსწავლელმა სეგმენტებად დანაწევრებული ასოთა ჯგუფები უნდა დაუკავშიროს ერთმანეთს. ასე კომპლექსურად მიწოდებული ასოების მიმდევრობა მას „აიძულებს“ დააკვირდეს ასოების მოხაზულობას, მათ მსგავს და განმასხვავებელ ნიშნებს, რაც საბოლოო ჯამში ეხმარება მას ქართული ანბანის ათვისებაში.

4. დავალება 3-თან შედარებით მე-4-ის შესასრულებელი პირობა შედარებით გართულებულია, რადგან შემსწავლელმა ამჯერად ერთმანეთს ერთი და იგივე ასო უნდა დაუკავშიროს. ამ დავალების მიზანიც ქართული ასოების მოხაზულობის გაცნობა და პასიურ დონეზე ათვისებაა.

5. მე-5 დავალება მიზნად ისახავს, შემსწავლელმა ყურადღება მიაქციოს ამა თუ იმ ქართული თანხმოვნის მცირედით, მაგრამ მაინც განსხვავებულ წარმოთქმას სხვადასხვა ხმოვნის წინ. ამ სავარჯიშოს მიზანიც ბგერების წარმოთქმის პასიური ათვისებაა და უფრო გაცნობით ხასიათს ატარებს.

6. მე-6 დავალება სელექციური ხასიათისაა და ქართული ასოებით დაწერილი სიტყვის აღმოჩენას ემსახურება. სავარჯიშოს მიზანია, შემსწავლელს გაუჩინოს კმაყოფილების განცდა, რომ მან უკვე იპოვა მისთვის მეტ-ნაკლებად ნაცნობი ქართული ასოებით დაწერილი სიტყვა. ამას გარდა, სხვა, მისთვის ცნობილ ენაზე დაწერილი მისალმების წაკითხვის შემდეგ იგი უკვე ხვდება ქართული „გამარჯობის“ მნიშვნელობასაც. დავალება პოზიტიურ მიდგომას ეფუძნება და შემსწავლელს სწავლის მოტივაციას უძლიერებს.

7. მე-7 დავალება შემსწავლელს ეხმარება მისთვის სავარაუდოდ ნაცნობი საერთაშორისო სიტყვების საფუძველზე „ქართული“ სიტყვების ათვისება-ში. გარდა ნაცნობ მხარეზე აქცენტირებისა (სიტყვების დაახლოებით მსგავსი ჟღერადობა), სავარჯიშო შემსწავლელს ასევე უბიძგებს, რომ განსხვავებასაც მიაქციოს ყურადღება. კერძოდ, დაუკვირდეს მისთვის ნაცნობი სიტყვების ქართულ ჟღერადობას.

8. მე-8 დავალება გარკვეულწილად თამაშის ხასიათს ატარებს და მისი მიზანია, შემსწავლელმა თვალი შეაჩვიოს სხვადასხვა შრიფტით დაწერილ ასოებს.

9. მე-9 დავალება – ვიდეოკლიპი „ქართული ანბანი“ – ატარებს ქვეყანათ-მცოდნეობით ხასიათს. ამასთანავე, ის ეხმარება შემსწავლელს როგორც ქართული ასო-ბგერების, ისე ანბანში მათი თანამიმდევრობის პასიურ დონეზე ათვისებაში.

10. მე-10 დავალების პირობით შემსწავლელს ევალება ასოთა ჯგუფების სწორი თანამიმდევრობით დალაგება, რაც მას დაეხმარება ქართული ანბანის დამახსოვრებაში. შესაძლოა, სავარჯიშო შესრულდეს ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. სასურველია, თუ მასწავლებელი კიდევ ერთხელ მოასმენინებს სტუდენტებს ვიდეოკლიპს „ქართული ანბანი“ და ისე შეამოწმებენ შესრულებულ დავალებას.

11. მე-11 დავალების მიზანია, შემსწავლელები მიაჩვიოს ქართული ასოების მოხაზულობასა და ბგერების წარმოთქმას.

გაკვეთილი 1

წიგნი

1. პირველი დავალების მიზანია, შემსწავლელს მისთვის ნაცნობი საერთაშორისო სიტყვებისა და მისათითებელი ნაწილაკის (აი) გამოყენებით აათვისებინოს მარტივი იდენტიფიკაცია. აღნიშნული დავალება ერთდროულად ავითარებს მოსმენისა და კითხვის უნარებს. ამასთანავე, დავალების აუდიოჩანაწერი შემსწავლელს ეხმარება მისთვის ნაცნობი საერთაშორისო სიტყვების ქართული ჟღერადობის ათვისებაში, ხელს უწყობს გაკვეთილით გათვალისწინებული ასოების დამახსოვრებას.

2. მე-2 დავალება ემსახურება მოსმენისა და კითხვის უნარების განვითარებას.

3. მე-3 დავალება ეფუძნება წინა ორი დავალებით მიღებულ ცოდნას და ემსახურება გაკვეთილით გათვალისწინებული ასოების ათვისებას.

4. მე-4 დავალების მიზანია, შემსწავლელმა ყურადღება მიაქციოს ამა თუ იმ ქართული თანხმოვნის მცირედით, მაგრამ მაინც განსხვავებულ, წარმოთქმას სხვადასხვა ხმოვნის წინ და აუდიოჩანაწერის მოსმენის შემდეგ შეეცადოს მარცვლების წაკითხვას. მასწავლებელს შეუძლია ეს დავალება უფრო გასართობი და სახალისო გახადოს. კერძოდ, შემსწავლელმა შემთხვევითობის პრინციპით, თვალდახუჭულმა დაადოს თითი ამა თუ იმ მარცვალს და წაიკითხოს.

5. მე-5 დავალება ემსახურება ქართული ასოების ათვისება-განმტკიცებას.

6. მე-6 დავალების მიზანია მოსმენისა და კითხვის უნარების განვითარება. ამასთანავე, იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული ლექსიკისა და გრამატიკის ათვისება. სასურველია, თუ მასწავლებელი ოთახში არსებული ნივთების დასახელებით წაახალისებს შემსწავლელებს, თვითონ შეძლონ მარტივი იდენტიფიკაციის გამოხატვა.

7. მე-7 დავალება წერის უნარს ავითარებს და განამტკიცებს იდენტიფიკაციასთან დაკავშირებულ ლექსიკურ-გრამატიკულ ცოდნას, ემსახურება ათვისებული მასალის აქტიურ გამოყენებას (პროდუცირებას).

8. მე-8 დავალება ფონეტიკური ხასიათისაა და უცხოელებს ეხმარება ყრუ მკვეთრი და ყრუ ფშვინვიერი ბგერების ერთმანეთისგან გარჩევის ათვისებაში.

9. მე-9 დავალება ემსახურება როგორც ლექსიკის განმტკიცებას, ასევე კითხვის უნარის განვითარებას.

10. 11. 12. მე-10, მე-11 და მე-12 დავალებების მიზანია, შემსწავლელს დაასწავლოს იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით მარტივი წინადადებების აგება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შინაარსით. თუ მე-10 და მე-12 დავალება კითხვისა და წერის უნარებს ავითარებს, მე-11 მოსმენისა და კითხვის უნარებს განამტკიცებს.

13. 14. მე-13 და მე-14 დავალებები შემსწავლელს ეხმარება კომპიუტერის კლავიატურაზე ქართულად ბეჭდვის ათვისებაში.

15. მე-15 დავალების მიზანია იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული გრამატიკული მასალის განმტკიცება.

16. მე-16 დავალება ითვალისწინებს აუდიოჩანაწერის დეტალურ გაგებას და ემსახურება გაკვეთილით ათვისებული მასალის ცოდნის შემოწმებას.

რვეული

1. პირველი დავალება ითვალისწინებს გაკვეთილით გათვალისწინებული ლექსიკის ათვისებას, მოსმენისა და წერის უნარების განვითარებას.

2. 3. მე-2 და მე-3 დავალება ემსახურება ქართული ასო-ბგერების ათვისებას.

4. 5. მე-4 და მე-5 დავალებები იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით მარტივი წინადადებების აგების ათვისებას ითვალისწინებს. ამასთანავე განამტკიცებს წერისა და კითხვის უნარებს.

6. მე-6 დავალება პროდუცირების ტიპისაა და პირველი გაკვეთილით ათვისებული ფონეტიკური, გრამატიკული თუ ლექსიკური ცოდნის აქტიურ გამოყენებას მოითხოვს. აღნიშნული დავალების შესრულების ხარისხი პირდაპირ კავშირშია მასალის შესწავლის დონესთან.

7. 8. მე-7 და მე-8 დავალებები მოსმენისა და კითხვის უნარის განვითარებას ემსახურება. დეტალური გაგების პრინციპით იგი ამოწმებს ფონეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკის ათვისების ხარისხსაც. შემსწავლელის მიერ დაშვებული შეცდომები მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ყურადღება გაამახვილოს ცუდად ათვისებული მასალის განმტკიცებაზე. ამისათვის მან შეიძლება დაიხმაროს A1 დონის „ინტერაქციული სავარჯიშოებიც“.

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

წიგნი

1. პირველი დავალების მიზანია შემსწავლელს მისთვის ნაცნობი ქალაქებისა და კონტინენტების დასახელებების დახმარებით გააცნოს ქართული ასო-ბგერები. აღნიშნული დავალება ახალი ასოების პასიურ დასწავლაზეა ორიენტირებული.

2. იხელმძღვანელეთ პირველი გაკვეთილის მე-4 დავალების ინსტრუქციით.

3. მე-3 დავალება ავითარებს კითხვისა და წერის უნარებს. ამავდროულად იგი შემსწავლელს ეხმარება ახლად შესწავლილი ასო-ბგერების ათვისებაში. დავალების ფორმატი (კროსვორდი) სახალისოს ხდის ასოების დასწავლის პროცესს.

4. მე-4 დავალება ემსახურება მოსმენისა და კითხვის უნარების განვითარებას და გაკვეთილით გათვალისწინებული ასო-ბგერების ათვისებას.

5. **6.** მე-5 და მე-6 დავალებები ემსახურება იდენტიფიკაციისა (დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობით) და მიგებით ნაწილაკების ათვისებას, რათა შემსწავლელმა შეძლოს ყველაზე მარტივ კომუნიკაციაში მონაწილეობა. დასახელებული სავარჯიშოები ავითარებს მოსმენისა და კითხვის უნარებს.

7. მე-7 დავალება წინა ორი დავალებით ათვისებული გრამატიკული მასალის პრაქტიკულ გამოყენებაზეა ორიენტირებული, ემსახურება კითხვისა და წერის უნარების განვითარებას.

8. მე-8 დავალება ემსახურება როგორც ლექსიკის განმტკიცებას, ასევე კითხვის უნარის განვითარებას.

9. მე-9 დავალება ფონეტიკური ხასიათისაა და უცხოელებს ეხმარება ყრუ მკვეთრი და ყრუ ფშვინვიერი ბგერების ერთმანეთისგან გარჩევის ათვისებაში.

10. **11.** მე-10 და მე-11 დავალებები შემსწავლელს მისცემს პირის წარდგენასა და იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით საჭირო ელემენტარულ ცოდნას შესაბამისი გრამატიკისა და ლექსიკის გათვალისწინებით, განუვითარებს მას მოსმენის, კითხვისა და წერის უნარებს. მე-10 სავარჯიშოს წასაკითხი მასალა ემსახურება გრამატკის ათვისებას თვითაღმოჩენით მეთოდით.

12. მე-12 დავალება ემსახურება პროდუცირებას წერითი ფორმით, ანუ შემსწავლელი უკვე ათვისებული გრამატიკული და ლექსიკური მასალის გამოყენებით აგებს წინადადებებს. სავარჯიშო ააქტიურებს ცოდნას იდენტიფიკაციასთან მიმართებით.

13. მე-13 დავალება შემსწავლელს ეხმარება კომპიუტერის კლავიატურაზე ქართულად ბეჭდვის ათვისებაში. შესაძლოა, მასწავლებელმა შემსწავლელს სთხოვოს ქალაქების, კონტინენტების, პირთა სახელების ან სხვ. ბეჭდვა, რა თქმა უნდა, ამ ეტაპისთვის ათვისებული ასოების გამოყენებით.

14. მე-14 დავალება ხელს უწყობს ათვისებული ქართულად ბეჭდვის განმტკიცებას, თუმცა როგორც მე-13, ისე მე-14 სავარჯიშოს შესრულება არ შეიძლება იყოს სავალდებულო.

15. მე-15 დავალება წარმოადგენს იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული გრამატიკული მასალის სქემატურ ასახვას და ეხმარება შემსწავლელს ცოდნის განმტკიცებაში.

16. მე-16 სავარჯიშოს „ა“ და „ბ“ დავალებები ცოდნის შემოწმებას ემსახურება. მათი შესრულებისათვის შემსწავლელმა უნდა გამოიყენოს გაკვეთილით ათვისებული გრამატიკული და ლექსიკური მასალა. დავალებები ავითარებს კითხვისა და წერის უნარებს.

17. მე-17 დავალებაც მე-16-ის მსგავსად ცოდნის შემოწმებას ისახავს მიზნად, მხოლოდ ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა მოსმენის უნარს.

18. მე-18 დავალება ლაპარაკის უნარის განვითარებას ემსახურება და ითვალისწინებს გაკვეთილით ათვისებული გრამატიკული თუ ლექსიკური მასალის აქტიურ გამოყენებას, საკუთარი თავის შესახებ მარტივი წინადადებ(ებ)ის აგებას.

რვეული

1. პირველი და მე-2 დავალებები ურთიერთ დაკავშირებულია. თუ პირველის
2. შესრულებისთვის შემსწავლელმა აუდიოჩანაწერის მიხედვით უნდა მოისმინოს, წაიკითხოს, იპოვოს და ერთმანეთთან დააკავშიროს ერთი სიტყვის ორი ნაწილი, მე-2 სავარჯიშოში მან კროსვორდი უნდა შეავსოს პირველ დავალებაში შედგენილი სიტყვების გამოყენებით. სავარჯიშოები ემსახურება მოსმენის, წერისა და კითხვის უნარების განვითარებას.

3. მე-3 დავალება იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული ვრცელი და მოკლე წინადადებების აგების ცოდნას განამტკიცებს.

4. მე-4 დავალება იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული მტკიცებითი, კითხვითი და უარყოფითი წინადადებების ცოდნას განამტკიცებს. ამ შემთხვევაში ვითარდება გრამატიკული ცოდნა, კითხვისა და წერის უნარები.

5. მე-5 დავალების მიზანია მოსმენისა და კითხვის უნარების განვითარება, გაკვეთილით გათვალისწინებული გრამატიკული ცოდნის შემოწმება.

6. მე-6 დავალება განამტკიცებს და ამოწმებს შესწავლილ გრამატიკულ მასალას, კითხვისა და წერის უნარებს.

7. მე-7 და მე-8 დავალებები ემსახურება გაკვეთილით ათვისებული მასალის
8. განმტკიცება-შემოწმებას, კითხვის, წერისა და მოსმენის უნარების განვითარებას. მე-8 სავარჯიშოს შესრულებამდე მასწავლებელმა შემ-სწავლელს უნდა აუხსნას ქართულში სიტყვათა რიგის მეტ-ნაკლები თავისუფლების შესახებ. შესაძლოა მან ზეპირად ავარჯიშოს ის ერთი და იმავე წინადადების სხვადასხვა ვარიანტის შედგენაზე.

9. მე-9 დავალება მოსმენის უნარის შემოწმებას ემსახურება და ითვალისწი-ნებს აუდიოჩანაწერის დეტალურ გაგებას. სავარჯიშოს შესრულების დროს, სასურველია, მასწავლებელს ჰქონდეს პოზიტიური მიდგომა და დაშვებული შეცდომები გამოიყენოს არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მან შეიძლება შემსწავლელს წაუკითხოს ტექსტი (წინადადებები) ნაცნობი სიტყვების გამოყენებით და სთხოვოს მას ტექსტის (წინადადებები) სელექციური გაგება ნასწავლი სიტყვის ამოცნობის მიზნით.

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

წიგნი

1. პირველი დავალების მიზანია გაკვეთილით გათვალისწინებული ახალი ასო-ბგერების გაცნობა, პასიური ათვისება.

2. მე-2 დავალებისათვის იხელმძღვანელეთ პირველი გაკვეთილის მე-4 სავარჯიშოს ინსტრუქციით.

3. მე-3 სავარჯიშოს „ა“ და „ბ“ დავალებების მიზანია, შემსწავლელს თვით-აღმოჩენის მეთოდით აათვისებინოს „ეს“ და „ის“ ნაცვალსახელები, რათა მან პირველ პირთან სიახლოვე-დაშორების გათვალისწინებით შეძლოს ამ ნაცვალსახელების სწორი გამოყენება. მასწავლებელს შეუძლია შემ-სწავლელს ოთახში არსებული ნივთები სწორედ ამ პრინციპით და-ასახელებინოს და პრაქტიკულად ავარჯიშოს აღნიშნული ნაცვალ-სახელების დისტრიბუციაზე.

მე-3 დავალების „გ“ ნაწილი ფონეტიკისა და ლექსიკის ათვისებას ემსახურება, ავითარებს კითხვის უნარს.

4. მე-4 დავალება ემსახურება როგორც ლექსიკის განმტკიცებას, ასევე კითხვის უნარის განვითარებას.

5. მე-5 დავალების მიზანია, შემსწავლელს დაეხმაროს გაკვეთილით გათვალისწინებული ლექსიკის ათვისებაში.

6. 6. მე-6 დავალება შემსწავლელს დაეხმარება გაკვეთილით განსაზღვრული სიტყვების სწორი ფორმით დამახსოვრებაში.

7. მე-7 და მე-8 დავალებების მიზანია საკუთარი თავის წარდგენისა და სხვათა
8. გაცნობის შესახებ მარტივი წინადადებების შედგენის დასწავლა, ამისათვის საჭირო გრამატიკული და ლექსიკური მასალის შემსწავლე-ლისათვის მიწოდება და პრაქტიკული ვარჯიში. მასწავლებელმა ენის შემსწავლელს უნდა გააცნოს პირის ნაცვალსახელები და „არის“ ზმნის ფორმები ამ ნაცვალსახელებთან მიმართებით, ავარჯიშოს მათ გამო-ყენებაზე. სანამ სტუდენტი დამოუკიდებლად შეასრულებს მე-8 დავალებას, შესაძლებელია, მასწავლებელმა ის ზეპირად ავარჯიშოს ამ თვალ-საზრისით.

9. მე-9 დავალების შესრულებამდე მასწავლებელმა შემსწავლელს უნდა გაახსენოს უარყოფითი შინაარსით იდენტიფიკაციის გამოხატვა.

10. მე-10 დავალება ემსახურება პროდუცირებას წერითი ფორმით, ანუ შემსწავლელი უკვე ათვისებული გრამატიკული და ლექსიკური მასალის გამოყენებით აგებს წინადადებებს. დავალება შემსწავლელს უაქტიურებს ცოდნას იდენტიფიკაციასთან მიმართებით, ავარჯიშებს მას ამ შინაარსის მარტივი წინადადებების აგებაში.

11. **12.** მე-11 და მე-12 დავალებები შემსწავლელს ეხმარება კომპიუტერის კლავიატურაზე ქართულად ბეჭდვის ათვისებაში, ამავდროულად განუმტკიცებს ამ ეტაპისთვის შესწავლილი ქართული ასო-ბგერების ცოდნას, განუვითარებს მოსმენის, კითხვისა და წერის (ბეჭდვის) უნარებს. აღნიშნული დავალებების შესრულება არ შეიძლება იყოს სავალდებულო.

13. მე-13 დავალების მიზანია გაკვეთილით გათვალისწინებული გრამატიკული მასალის განმტკიცება. მასწავლებელმა შემსწავლელს უნდა აუხსნას ქართულ წინადადებაში სიტყვათა რიგის მეტ-ნაკლები თავისუფლება, შედგენილი შემასმენლის გამოყენების სპეციფიკა იდენტიფიკაციასთან დაკავშირებულ წინადადებებში, დაუსახელოს მაგალითები, თუმცა ამავდროულად უნდა აუხსნას, რომ სიტყვათა რიგი აბსოლუტურად თავისუფალი არაა.

14. მე-14 დავალება ლექსიკის დამახსოვრებას ისახავს მიზნად. თემატურად ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვებიდან შემსწავლელმა უნდა გამოყოს ზედმეტი სიტყვა. აღნიშნული სავარჯიშო შემსწავლელს დაეხმარება უკვე ათვისებული ლექსიკის განმტკიცებაში.

15. მე-15 სავარჯიშოს „ა“ და „ბ“ დავალებები შემსწავლელს განუვითარებს წერის, კითხვისა და ლაპარაკის უნარებს, დაეხმარება მას მარტივი წინადადებების აგების ათვისებაში. მასწავლებელმა შემსწავლელები შეიძლება ავარჯიშოს ამგვარი წინადადებების აგებაში კითხვა-პასუხის რეჟიმით.

16. მე-16 დავალება შემსწავლელს აძლევს საშუალებას, ათვისებული გრამატიკული და ლექსიკური მასალა პრაქტიკულად გამოიყენოს. სასურველია, მასწავლებელმა შემსწავლელის მიერ დაშვებული შეცდომები ხარვეზების დასადგენად გამოიყენოს და ყურადღება გაამახვილოს მათ აღმოფხვრაზე დამატებითი ვარჯიშით.

17. მე-17 დავალების მიზანი აუდიომასალის სელექციური გაგებაა. აღნიშნული დავალება ხელს უწყობს მოსმენისა და წერის უნარების განვითარებას.

რვეული

1. პირველი დავალების მიზანია, შემსწავლელს განუვითაროს მოსმენის უნარი და ორიენტირებულია დეტალურ გაგებაზე.

2. მე-2 დავალება შემსწავლელს დაეხმარება დაისწავლოს ნაცვალსახელების („ეს“ და „ის“) მართებული გამოყენება.

3. მე-3 დავალება ამოწმებს შემსწავლელს, თუ რამდენად კარგად აითვისა მან გაკვეთილით გათვალისწინებული სიტყვების სწორი ფორმები.

4. მე-4 დავალების შესრულებას წინ უნდა უძღოდეს პირის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული (შემსწავლელის წიგნით გათვალისწინებული) გრამატიკული და ლექსიკური მასალის ათვისება და მათ გამოყენებაზე ვარჯიში. სავარჯიშო განამტკიცებს ცოდნას და წერისა და კითხვის უნარებს.

5. მე-5 დავალება არის შესამოწმებელი ტიპისა და ემსახურება გაკვეთილით გათვალისწინებული გრამატიკულის ცოდნის შემოწმებას.

6. მე-6 სავარჯიშო უნდა შესრულდეს შემსწავლელის წიგნის მესამე გაკვეთილის მე-13 დავალების შესრულებისა და ქართულში წინადადების აგების პრინციპების გამეორების შემდეგ.

7. მე-7 დავალება, სასურველია, დამოუკიდებლად შეასრულოს შემსწავლელმა. ის არ არის განკუთვნილი საკლასო მუშაობისთვის. დავალება ემსახურება, წერის, კითხვისა და მოსმენის უნარების განვითარებას, ათვისებული ლექსიკის განმტკიცებას.

8. მე-8 დავალება, სასურველია, შესრულდეს კლასში და მასწავლებელმა მხოლოდ ერთხელ (აუცილებელი საჭიროებისას – ორჯერ) მოასმენინოს შემსწავლელს აუდიოჩანაწერი. დავალება ითვალისწინებს მოსმენის, კითხვისა და წერის უნარების განვითარებას, ამოწმებს შემსწავლელის ცოდნას და ამავდროულად მასწავლებელს ეხმარება არსებული ხარვეზების (მათი არსებობის შემთხვევაში) დადგენაში.

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

წიგნი

1. პირველი დავალების მიზანია საუზმისა და სადილისათვის განკუთვნილი საჭმელ-სასმელის გამომხატველი ლექსიკის ათვისების პარალელურად შემსწავლელს დაასწავლოს ახალი ასო-ბგერები. ამ გაკვეთილით პრაქტიკულად სრულდება ქართლი ანბანის შესწავლის ეტაპი. სადილისათვის განკუთვნილი საჭმელ-სასმელის ამსახველი ლექსიკა ითვალისწინებს ტრადიციული ქართული კერძების გაცნობას, რაც შეესაბამება ქვეყანათმცოდნეობისა და ეთნოკულტურული თავისებურებების შემსწავლელისთვის მიწოდების აუცილებლ მოთხოვნას.

2. მე-2 დავალებისათვის იხელმძღვანელეთ პირველი გაკვეთილის მე-4 სავარჯიშოს ინსტრუქციით.

3. მე-3 დავალება ემსახურება როგორც ლექსიკის განმტკიცებას, ასევე კითხვის უნარის განვითარებას.

4. მე-4 დავალების მიზანია, ერთი მხრივ, შემსწავლელს აათვისებინოს გაკვეთილით გათვალისწინებული ასო-ბგერები და სიტყვები, მეორე მხრივ, კი გაამეორებინოს წინა გაკვეთილით შესწავლილი გრამატიკული და ლექსიკური მასალა იდენტიფიკაციასთან მიმართებით. მე-4 სავარჯიშოს „ა“ დავალების შესრულების შემდეგ შემსწავლელს თვითონ შეუძლია შეამოწმოს, რამდენად სწორად შეასრულა დავალება. ამასთანავე „ბ“ სავარჯიშო ხელს უწყობს მოსმენის, ხოლო „ა“ და „ბ“ კითხვისა და წერის უნარების განვითარებას.

5. იხელმძღვანელეთ მე-3 გაკვეთილის მე-14 დავალების ინსტრუქციით.

6. მე-6 დავალების მიზანია, შემსწავლელს განამტკიცებინოს ათვისებული ლექსიკა და გრამატიკა, გაავარჯიშოს იგი უარყოფითი და დადებითი მნიშვნელობით იდენტიფიკაციის გამოხატვაში.

7. მე-7 და მე-8 დავალებები „ვინ“ და „რა“ კითხვით ნაცვალსახელებს ეთმობა.
8. მე-7 სავარჯიშო ისე აგებული, რომ შემსწავლელმა თავად აღმოაჩინოს ხსენებული ნაცვალსახელების გამოყენების წესი, რომელსაც იგი გამოიყენებს მე-8 სავარჯიშოს შესრულებისას. ეს უკანასკნელი კი თავისთავად ემსახურება ახალი გრამატიკული მასალის ათვისება-განმტკიცებას. ამ დავალებებით ვითარდება კითხვისა და წერის უნარები.

9. მე-9 დავალების მიზანია, პირის ნაცვალსახელებთან „არის“ ზმნის შესაბამისი ფორმების სწორად გამოყენების განმტკიცება, წინა გაკვეთილით ათვისებული გრამატიკული მასალის გამეორება. დავალების შესრულების ხარისხი გამოავლენს შემსწავლელის ცოდნის ხარვეზებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

10. მე-10 დავალება მე-7 დავალებით ათვისებულ გრამატიკულ მასალასთან ერთად ამოწმებს წინა და მიმდინარე გაკვეთილით შესწავლილ ლექსიკურ ერთეულთა ცოდნასაც, ხელს უწყობს წერისა და კითხვის უნარების განვითარებას.

11. **12.** მე-11 და მე-12 დავალებები შემსწავლელს ეხმარება კომპიუტერის კლავიატურაზე ქართულად ბეჭდვის ათვისებაში, ამავდროულად განუმტკიცებს ამ ეტაპისთვის შესწავლილი ქართული ასო-ბგერების ცოდნას, განუვითარებს მოსმენის, კითხვისა და წერის (ბეჭდვის) უნარებს. აღნიშნული დავალებების შესრულება არ შეიძლება იყოს სავალდებულო.

13. მე-13 დავალება ამოწმებს მე-7 დავალებით ათვისებული გრამატიკული მასალის ცოდნას და არის შესამოწმებელი ტიპის სავარჯიშო.

14. მე-14 დავალება არის პირის ნაცვალსახელების გამოყენებით იდენტიფიკაციის გამომხატველი ვრცელი და მოკლე წინადადებების ამსახველი ცხრილი, ემსახურება გრამატიკული ცოდნის სისტემატიზაციას.

15. მე-15 დავალება უნდა შესრულდეს აუდიომასალის სელექციური გაგების გზით. აღნიშნული დავალება ავითარებს წერისა და მოსმენის უნარებს, ამოწმებს გაკვეთილით ათვისებული ლექსიკის ცოდნას.

რვეული

1. პირველი დავალება გაკვეთილით გათვალისწინებული ლექსიკის ათვისებას ემსახურება, ხელს უწყობს მოსმენისა და კითხვის უნარების განვითარებას.

2. მე-2 დავალების მიზანია, შემსწავლელს განუვითაროს მოსმენის უნარი და ორიენტირებულია დეტალურ გაგებაზე.

3. მე-3 დავალება პროდუცირების ტიპისაა, შემსწავლელს მის შესასრულებლად სჭირდება როგორც გრამატიკის, ისე ლექსიკის ცოდნა.

4. მე-4 დავალება გამომდინარეობს მე-3-იდან და სახალისო ფორმით ამოწმებს შემსწავლელს ახალი ლექსიკური ერთეულების ცოდნაში. სავარჯიშო ავითარებს წერის უნარს.

5. მე-5 დავალება ამოწმებს შემსწავლელს, თუ რამდენად კარგად აითვისა მან გაკვეთილით გათვალისწინებული სიტყვების სწორი ფორმები.

6. მე-6 დავალება იდენტიფიკაციის გამოსახატავად პირის ნაცვალსახელებთან „არის“ ზმნის სათანადო ფორმების გამოყენებას ამოწმებს, ავითარებს კითხვისა და წერის უნარებს, განამტკიცებს გრამატიკის ცოდნას.

7. მე-7 დავალება ათვისებული ლექსიკის ცოდნას ამოწმებს თემატურ ჯგუფებში გაერთიანებული სიტყვებიდან ზედმეტის წაშლით, ავითარებს კითხვის უნარს.

8. მე-8 დავალება კითხვითი ნაცვალსახელების გამოყენების ცოდნას ამოწმებს.

9. მე-9 დავალება ამოწმებს გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას, გაკვეთილით გათვალისწინებულ მასალას. მისი შესრულების შედეგებით წარმოჩნდება შემსწავლელის ცოდნის ხარისხი.

10. მე-10 დავალება ლაპარაკის (პროდუცირების) უნარს ამოწმებს, ამასთანავე ხელს უწყობს იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით მარტივ კომუნიკაციაში (დიალოგში) მონაწილეობის უნარის განვითარებას.

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

წიგნი

1. პირველი სავარჯიშოს „ა“ და „ბ“ დავალებების მიზანია, შემსწავლელმა თავად აღმოაჩინოს მრავლობითი რიცხვის წარმოების წესი, ამაში მას დაეხმარება „ბ“ დავალების ცხრილი, რომელშიც სიტყვის დაბოლოებების მიხედვით წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ფორმათა მიღების საშუალებები, ასევე გამონაკლისები. „გ“ სავარჯიშოს შესრულებით შემსწავლელი პრაქტიკულად გამოიყენებს ათვისებულ წესს.

2. მე-2 დავალება განკუთვნილია პირის ნაცვალსახელებისა და მათთან დაკავშირებული „არის“ ზმნის პირისა და რიცხვის მიხედვით ცვლილების შესწავლისთვის. ვიზუალური მასალა და ცხრილი შემსწავლელს დაეხმარება გრამატიკული მასალის უკეთ ათვისებაში.

3. მე-3 დავალება შემსწავლელს ავარჯიშებს პირის ნაცვალსახელებისა და მათთან დაკავშირებული „არის“ ზმნის პირისა და რიცხვის მიხედვით ცვლილების პრაქტიკულად გამოყენებაში.

4. მე-4 სავარჯიშოს „ა“ და „ბ“ დავალებების მიზანია რაოდენობითი რიცხვითი სახელების შესწავლა. „ბ“ დავალება შემსწავლელს დაეხმარება „ა“ ნაწილით პასიურად ათვისებული მასალის განმტკიცებაში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებით. რა თქმა უნდა, მასწავლებელს შეუძლია შემსწავლელები დამატებით ავარჯიშოს რიცხვითი სახელების გამოყენებაში ამა თუ იმ საგანთა დათვლით. დავალება ავითარებს მოსმენის უნარს.

5. მე-5 დავალების მიზანია „აქ“ და „იქ“ ადგილის ზმნიზედების შესწავლა. ილუსტრაციები წარმოადგენს გრამატიკული მასალის ახსნისთვის დამატებით ინსტრუმენტს. ისინი ეხმარება მასწავლებელს შემსწავლელისთვის მასალის მარტივად მიწოდებაში, ხოლო ამ უკანასკნელს – იოლად ათვისებაში.

6. მე-6 დავალება განკუთვნილია წერითი უნარის განვითარებისათვის და შემსწავლელს აძლევს საშუალებას ფოტოების მიხედვით შეადგინოს წინადადებები, რა თქმა უნდა, გაკვეთილით განსაზღვრული მასალის გამოყენებით.

7. მე-7 დავალება გრამატიკული დანიშნულებისაა და ემსახურება გრამატიკული რიცხვის შესწავლას. დავალებაში ყურადღება გამახვილებულია რაოდენობითი რიცხვითი სახელით გადმოცემულ მსაზღვრელთან საზღვრული წევრის რიცხვზე, ასევე უსულო თუ სულიერი საგნით გადმოცემულ საზღვრულ წევრთან დაკავშირებული ზმნა-შემასმენლის რიცხვზე. ფოტოები მასალის ათვისებისთვის დამხმარე ინსტრუმენტებს წარმოადგენს.

8. მე-8 დავალება გრამატიკულად სწორი წინადადების აღნიშვნით ავარჯიშოებს შემსწავლელს გრამატიკისა და ლექსიკის ათვისებაში. დავალება ხელს უწყობს კითხვის უნარის განვითარებას.

9. მე-9 დავალება შემსწავლელს გაავარჯიშებს წინადადებების აგებაში, მსაზღვრელ-საზღვრულის თანამიმდევრობის დასწავლაში. დავალება ავითარებს კითხვისა და წერის უნარებს.

10. მე-10 დავალება ეძღვნება საზღვრული წევრის რიცხვის საკითხს, როდესაც მისი მსაზღვრელი რაოდენობითი რიცხვითი სახელია. შემსწავლელს ევალება დათვალოს ფოტოებზე წარმოდგენილი საგნები და სწორი ფორმით დაწეროს შესაბამისი მსაზღვრელ-საზღვრული.

11. მე-11 სავარჯიშოს „ა“ დავალების მიზანია, შემსწავლელმა სათანადო სვეტებში გაანაწილოს სიტყვები, რომლებსაც ეწარმოება ან არ აქვს მრავლობითი რიცხვი. აღნიშნული საკითხი მას უკვე უნდა ჰქონდეს ათვისებული და წინამდებარე სავარჯიშო განამტკიცებს მის ცოდნას. „ბ“ დავალება გამომდინარეობს „ა“-სგან და შემსწავლელს სთხოვს აწარმოოს მრავლობითი რიცხვის ფორმები იმ სიტყვებისთვის, რომლებიც „ა“-ს შესრულებისას პირველ სვეტში განათავსა. დავალება შემსწავლელს განამტკიცებინებს გრამატიკულ მასალას და ხელს უწყობს კითხვისა და წერის უნარების განვითრებას.

12. მე-12 დავალება შემსწავლელს ეხმარება კომპიუტერის კლავიატურაზე ქართულად ბეჭდვის ათვისებაში, ამავდროულად მას განუვითარებს მოსმენის, კითხვისა და წერის (ბეჭდვის) უნარებს. აღნიშნული დავალებების შესრულება არ შეიძლება იყოს სავალდებულო.

13. მე-13 დავალება შემსწავლელს აცნობს კითხვით ნაცვალსახელს „რომელი“ და ასწავლის კითხვითი წინადადებების ფორმულირებას აღნიშნული ნაცვალსახელის გამოყენებით. დავალება კითხვის უნარს ავითარებს.

14. მე-14 დავალება შემსწავლელს აცნობს კითხვით ზმნიზედას „სად“ და ასწავლის კითხვითი წინადადებების ფორმულირებას აღნიშნული ზმნისზედის გამოყენებით. სავარჯიშო განამტკიცებს ამავე გაკვეთილით ათვისებული ადგილის ზმნიზედების „აქ“ და „იქ“ გამოყენებას.

15. მე-15 დავალების პირობით შემსწავლელს ევალება კითხვა დაუსვას წინადადებაში ხაზგასმულ სიტყვებს, რისთვისაც მას მოუწევს ამ და წინა გაკვეთილებით ათვისებული კითხვითი სიტყვების გამოყენებით შეადგინოს წინადადებები. აღნიშნული სავარჯიშო განამტკიცებს გრამატიკულ ცოდნას, ხელს უწყობს წერისა და კითხვის უნარების განვითარებას.

16. მე-16 დავალება ლექსიკის ცოდნას ამოწმებს. სავარჯიშოს შესასრულებლად შემსწავლელმა უნდა იცოდეს ფოტოებზე გამოსახული საგნების დასახელება, შესაბამისი სიტყვები ააწყოს წარმოდგენილი ასოებისგან და დაწეროს ფოტოსთან.

რვეული

1. პირველი დავალების მიზანია ლექსიკის განმტკიცება, სიტყვების სწორი ფორმების დამახსოვრება, მოსმენის, კითხვისა და წერის უნარების განვითარება.

2. ქართულ ანბანში არის ასოები, რომელთაც დაწერილობის (ან ბეჭდვის) ორ-ორი ვარიანტი აქვთ. მე-2 დავალება შემსწავლელს დაეხმარება ამ ასოების ათვისებაში.

3. მე-3 დავალების მიზანია ქართულად წერის სწავლა. შემსწავლელს ასოთა დაწერილობის შესწავლაში დაეხმარება რვეულის სამრეგისტრიანი ფურცელი.

4. მე-4 დავალება, ისევე როგორც წინა ორი, შემსწავლელს ხელს შეუწყობს ქართული ანბანის ათვისება-განმტკიცებაში. შრიფტის ნაირსახეობების მიუხედავად შემსწავლელმა უნდა შეძლოს ერთი და იგივე ასონიშნების ამოცნობა.

5. მე-5 დავალება ამ და წინა გაკვეთილებით ათვისებული ლექსიკური მასალის ცოდნას სახალისო ფორმით ამოწმებს. სავარჯიშო ავითარებს წერის უნარს.

6. მე-6 დავალება „აქ“, „იქ“ ზმნიზედებისა და „ეს“, „ის“ ნაცვალსახელების ცოდნას ამოწმებს, განამტკიცებს გრამატიკულ ცოდნას.

7. მე-7 დავალება ამოწმებს გრამატიკის ცოდნას. დავალება აერთიანებს როგორც გრამატიკული რიცხვის წარმოების, ისევე „არის“ ზმნის პირისა და რიცხვის მიხედვით ცვალების შესახებ მაგალითებს. სავარჯიშო შემსწავლელს განუვითარებს კომუნიკაციისთვის საჭირო უნარს, ააგოს გრამატიკულად გამართული წინადადებები.

8. მე-8 დავალება ამოწმებს კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადებების შედგენის უნარს. დავალება ავითარებს წერის უნარს.

9. მე-9 დავალების მიზანია მოსმენის უნარის შემოწმება ათვისებული ლექსიკური მასალის ცოდნის შემოწმების პარალელურად.

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

წიგნი

1. პირველი დავალების მიზანია კუთვნილებითი ნაცვალსახელების დასწავლა. ილუსტრაციები და ძველ ცოდნაზე ახლის დაფუძნება შემსწავლელს დაეხმარება მასალის მარტივად ათვისებაში. დავალება ავითარებს კითხვისა და მოსმენის უნარებს.

2. შემსწავლელმა ილუსტრაციების მიხედვით უნდა გამოიცნოს ვის რა ნივთი ეკუთვნის. ეს არის კუთვნილების გამოხატვის სხვადასხვა საშუალების ანალიზისა და სისტემატიზაციის საშუალება.

3. მე-3 დავალება შედგება ორი ნაწილისგან. ჯერ ცოდნის განმტკიცების მიზნით შემსწავლელმა პირის ნაცვალსახელებს უნდა მიუწეროს შესაბამისი კუთვნილებითი ნაცვალსახელები, შემდეგ კი წინადადებებში უნდა ჩასვას სათანადო კუთვნილებითი ნაცვალსახელები. სავარჯიშო ავითარებს წერისა და კითხვის უნარებს.

4. აღნიშნული დავალება თვითსწავლებას ისახავს მიზნად. შემსწავლელი წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალის გაცნობის შედეგად უნდა მიხვდეს შედგენილი შემასმენლის გამოყენების სპეციფიკას. შემდეგ შეასრულოს დავალება და ბოლოს შესრულებული დავალების სისწორე შეამოწმოს აუდიოჩანაწერის მიხედვით. დავალება ითვალისწინებს დეტალურ გაგებას და ავითარებს წერის, კითხვისა და მოსმენის უნარებს.

5. მე-5 სავარჯიშოს „ა“ დავალება შემსწავლელს წინასწარ განაწყობს და აძლევს მინიშნებებს, თუ რის შესახებაა ტექსტი. მან უნდა შეძლოს ვარაუდის მარტივი წინადადებებით გამოხატვა, საუბრის წარმართვა. სავარჯიშოს „ბ“ ნაწილი არის დამატებითი ინსტრუმენტი ახალი ლექსიკის დასამახსოვრებლად. დავალება ითვალისწინებს დეტალურ გაგებას და ავითარებს კითხვისა და ლაპარაკის უნარებს.

6. მე-6 დავალების მიზანია ლექსიკის ათვისება. სავარჯიშო კუთვნილებითი ნაცვალსახელებით წარმოდგენილი მსაზღვრელისა და მისი საზღვრულის პარალელურად გვაწვდის ნათესაობის აღმნიშვნელ ლექსიკას, ამ ლექსიკური ერთეულების მიღების გზას და გამონაკლისებს.

7. მე-7 და მე-8 დავალებები შემსწავლელს დაეხმარება ერთმანეთისგან
8. გამიჯნოს ომონიმური სიტყვები: ერთი მხრივ, და (ნათესავი) და, მეორე მხრივ, და (კავშირი), სწორად გამოიყენოს ისინი პრაქტიკაში, მათი მონაწილეობით შედგენილი წინადადებები თარგმნოს თავის ენაზე.

9. მე-9 დავალების „ბ“ და „გ“ ნაწილები უნდა შესრულდეს „ა“ ნაწილით გათვალისწინებული აუდიოჩანაწერის მოსმენის შემდეგ. ილუსტრაცია წარმოადგენს სავარჯიშოს მოსასმენი ვარიანტის დეტალური გაგების დამხმარე ინსტრუმენტს. დავალება ხელს უწყობს მოსმენისა და წერის უნარების განვითარებას, ამოწმებს გაკვეთილით ასათვისებელი ნათესაობის ლექსიკის სათანადო ცოდნას.

10. მე-10 დავალება პროდუცირების ტიპისაა მიუხედავად იმისა, რომ ითვალისწინებს კითხვის უნარის განვითარებასაც. მისი მიზანია, წარმოდგენილი ფოტოს მიხედვით ჩამოთვლილი სიტყვებიდან შემსწავლელმა ამოარჩიოს სათანადო და დეტალური გაგების გზით შეავსოს ტექსტის გამოტოვებული ადგილები.

11. მე-11 დავალების მიზანია კუთვნილების გადმოცემის რამდენიმე გზის დასწავლა. სავარჯიშო აერთიანებს, ერთი მხრივ, კუთვნილებითი ნაცვალსახელებით, მეორე მხრივ, პირის სახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმით კუთვნილების გამოხატვის საშულებებს. სავარჯიშოში ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა ხმოვნით ფუძედასრულებული პირის სახელებისგან ნათესაობითი ბრუნვის ფორმების მიღებაზე. დავალება ასევე მოიცავს კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელის „ვისი“ გამოყენების სპეციფიკასაც.

12. მე-12 დავალება ამოწმებს კუთვნილების გამოხატვის საშუალებების ცოდნას. სავარჯიშოს ბოლოს წარმოდგენილი ცხრილი შემსწავლელს აცნობს კუთვნილების გამომხატველ კითხვით წინადადებებში შედგენილი შემასმენლის გამოყენებას. დავალება ავითარებს კითხვის, წერისა და მოსმენის უნარებს.

13. მე-13 დავალების მიზანია რაოდენობითი რიცხვითი სახელების ათვისება. რთული რიცხვითი სახელები სავარჯიშოში წარმოდგენილია იმგვარად, რომ შემსწავლელს გაუადვილდეს მათი ათვისება. დავალება ითვალისწინებს არამარტო წარმოების, არამედ მათი წარმოთქმის დამახსოვრებასაც, ამიტომ იგი მოიცავს აუდიოჩანაწერსაც. უმჯობესია, მასწავლებელმა შემსწავლელებს ჯერ თავად წაუკითხოს რიცხვითი სახელები, შემდეგ მოასმენინოს აუდიოჩანაწერი და შემსწავლელს დაავალოს მათი წაკითხვა, საჭიროებისამებრ შეუსწოროს არასწორი წარმოთქმა. დავალება ავითარებს კითხვისა და მოსმენის უნარებს.

14. მე-14 დავალება მიზნად ისახავს ათვისებული რიცხვითი სახელების პრაქტიკულ გამოყენებას, ამოწმებს შემსწავლელის ცოდნას, ავითარებს წერის უნარს.

15. მე-15 დავალების მიზანია, შემსწავლელმა აითვისოს წლოვანების შესახებ როგორც კითხვითი („როგორი“ ნაცვალსახელის გამოყენებით), ასევე მტკიცებითი წინადადებების აგება. დავალება ითვალისწინებს დეტალურ გაგებას, ავითარებს კითხვის უნარს, განამტკიცებს გაკვეთილით გათვალისწინებული ლექსიკისა და გრამატიკის ცოდნას.

16. მე-16 დავალება პროდუცირების ტიპისაა და შემსწავლელისგან წასაკითხი ტექსტის დეტალური გაგების შედეგად მოითხოვს კითხვებზე პასუხის გაცემას. კითხვები ამოწმებს, რამდენად შეძლო შემსწავლელმა ტექსტის არა მარტო შინაარსის გაგება, არამედ რამდენად ახერხებს იგი საკუთარი ცოდნის გამოყენებას, წინადადებების შედგენას. დავალება შემსწავლელს განუვითარებს პირის იდენტიფიცირების (ვინაობის, ასაკის...) შესახებ კომუნიკაციაში მონაწილეობის უნარს. დავალების ბოლო ნაწილი შემსწავ-ლელისგან მოითხოვს საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის გაცემას, მარტივი წინადადებებით თავის წარდგენას. სავარჯიშო ავითარებს კითხვის, წერისა და ლაპარაკის უნარებს.

17. მე-17 დავალება ითვალისწინებს თავაზიანი წარდგენის ფორმებს, იმ ელემენტარული ფრაზების დასწავლას, რომლებიც საჭიროა ელემენტარუ-ლი კომუნიკაციის დაწყებისა და დასრულებისთვის (მისალმება-გამო-მშვიდობება)... სავარჯიშოს მეორე ნაწილი ამოწმებს შემსწავლელის მიერ გაკვეთილით ათვისებული ლექსიკის ცოდნას. დავალება ავითარებს კითხვისა და წერის უნარებს.

რვეული

1. პირველი დავალება ამოწმებს, თუ რამდენად აითვისა შემსწავლელმა კუთვნილების გამოხატვა როგორც კუთვნილებითი ნაცვალსახელებით, ისე პირის სახლების გამოყენებით. სავარჯიშო უნდა შესრულდეს წიგნის შესაბამისი მასალის შესწავლის შემდეგ.

2. მე-2 დავალება ამოწმებს, თუ რამდენად კარგად აითვისა შემსწავლელმა რიცხვითი სახლები. მის მიერ შეცდომების დაშვების შემთხვევაში მასწავ-ლებელს არ უნდა გამოეპაროს მთავარი – შემსწავლელმა არ იცის რაოდენობითი რიცხვითი სახელები, თუ უჭირს მათი წარმოთქმის ზუსტი გაგება. დავალება ამოწმებს ლექსიკის ცოდნას და მოსმენის უნარს.

3. მე-3 დავალების შესრულებისათვის შემსწავლელმა ჯერ უნდა მოისმინოს თითოეული წინადადების აუდიოჩანაწერი და დაწეროს სათანადო რიცხვითი სახელი. სავარჯიშო ამოწმებს როგორც მოსმენისა და წერის უნარებს, ასევე ლექსიკის ცოდნის დონეს.

4. მე-4 დავალება პროდუცირების ტიპისაა და შემსწავლელმა საკუთარი თავისა და ოჯახის შესახებ მარტივი წინადადებების აგება უნდა შეძლოს. სავარჯიშო ავითარებს მარტივი კომუნიკაციის (ლაპარაკის) უნარს, დიალოგის წარმართვისა და მასში მონაწილეობის ენობრივი საშუალებე-ბის ცოდნას.

5. მე-5 დავალების შესასრულებლად შემსწავლელმა უნდა მოისმინოს აუდიოჩანაწერი და ცხრილი შეავსოს შესაბამისი სიტყვებით. სავარჯიშო ითვალისწინებს მოსასმენი მასალის დეტალურ გაგებას, შემსწავლელს უვითარებს კომუნიკაციის უნარს.

6. მე-6 დავალება კუთვნილებითი ნაცვალსახელების გამოყენებით მარტივი წინადადებების შედგენას და წერას ითვალისწინებს.

7. მე-7 დავალება ამოწმებს ნათესაობის ლექსიკის ცოდნას, მოსმენისა და წერის უნარებს. თუ შემსწავლელს აღნიშნული სავარჯიშოს შესრულება გაუჭირდა, მასწავლებელმა მეტი დრო უნდა დაუთმოს ნათესაობის ლექსიკაზე მუშაობას, იქნება ეს კითხვა-პასუხის რეჟიმით, თუ ნათესაობის შესახებ წაკითხული ტექსტის გლობალურ და დეტალურ გაგებაზე ვარჯიშით.

8. მე-8 დავალება ამოწმებს კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადებების შედგენის უნარს. დავალება ავითარებს წერის უნარს.

9. მე-9 დავალება ამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია შემსწავლელს ოჯახის შესახებ კომუნიკაციის (დიალოგის) წარმართვა, კერძოდ წინადადებების ფორმულირება, პასუხების ადეკვატური გაგება. სავარჯიშო ლაპარაკისა და წერის უნარებს ითვალისწინებს.

10. მე-10 დავალება მონოლოგის სახით საკუთარი ოჯახის შესახებ ინფორმაციის გაცემას ისახავს მიზნად. დავალება პროდუცირების ტიპისაა, ამოწმებს გაკვეთილით გათვალისწინებული ლექსიკისა და გრამატიკის ცოდნას, ლაპარაკის უნარს.

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

წიგნი

1. პირველი დავალების მიზანია სხეულისა და სახის ნაწილების ათვისება. სავარჯიშო ითვალისწინებს როგორც კითხვას, ასევე მოსმენას. სავარჯიშოს „ა“ ნაწილი სიტყვების გაცნობას, „ბ“ კი პასიურ ათვისებას ეხმარება. რაც შეეხება ხოლო „გ-ს“, იგი შემსწავლელს ავარჯიშებს ლექსიკური ერთეულების დამახსოვრებაში.

2. მე-2 დავალების მიზანია, შემსწავლელმა აითვისოს გარეგნობასთან დაკავშირებული ლექსიკა, გარეგნობის აღსაწერად საჭირო ზედსართავი სახელები, მათ შორის ფერის გამომხატველი სიტყვები. „ა“ ნაწილი წარმოადგენს „ბ“-ს ტექსტური ნაწილის გასაგებად დამხმარე ინსტრუმენტს. „გ“ შემსწავლელს დაეხმარება თარგმნისას სიტყვების დამახსოვრებაში, „დ“ კი – ფერების გამომხატველი ლექსიკის დასწავლაში. დავალებას ახლავს „აქვს“ ზმნის ცხრილი პირების მიხედვით.

3. მე-3 დავალების მიზანია ფერების აღმნიშვნელი ლექსიკის გააქტიურება. სავარჯიშო ითვალისწინებს წერისა და კითხვის უნარების განვითარებას.

4. მე-4 სავარჯიშოს „ა“ ნაწილის მიზანია „აქვს“ ზმნის სხვადასხვა პირის ფორმების სწორად გამოყენების განმტკიცება. „ბ“ დავალება ამოწმებს ტექსტის დეტალური გაგებას, ხოლო „გ“ ნაწილი, ერთი მხრივ, ავითარებს მოსმენის უნარს, მეორე მხრივ, კი წარმოდგენს დამხმარე ინსტრუმენტს შესრულებული დავალების სისწორის დასადგენად.

5. მე-5 სავარჯიშო ემსახურება ლაპარაკის (მონოლოგის) უნარის განვითარებას. შემსწავლელმა უნდა ააგოს მარტივი წინადადებები საკუთარი და სხვა პირის გარეგნობის შესახებ. დავალება შეიცავს სტანდარტული ფრაზების ტრაფარეტებს.

6. მე-6 დავალება გრამატიკული მასალის გაცნობა-დასწავლას ისახავს მიზნად. იგი მოიცავს „აქვს“ და „ჰყავს“ ზმნების სხვადასხვა პირისა და რიცხვის ფორმების პარადიგმებს და საზოგადო სახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმის წარმოებას კუთვნილებითი შინაარსის მსაზღვრელის ფუნქციით. გრამატიკული მასალა მოიცავს იმ ფონეტიკურ ცვლილებებსაც, რომლებსაც განიცდის სიტყვათა ფუძეები ნათესაობითი ბრუნვის ფორმათა წარმოებისას. აღნიშნული ფონეტიკური ცვლილებების ფორმულების სახით მიწოდება შემსწავლელს უადვილებს რთული მასალის ათვისებას.

7. მე-7 დავალება აუდიოჩანაწერის დეტალური გაგების გზით წერით პროდუცირებას ისახავს მიზნად. შემსწავლელმა უნდა შეძლოს ტექსტის მიხედვით რელევანტური წინადადებების შედგენა. სავარჯიშო ამოწმებს მოსმენისა და წერის უნარებს, გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას.

8. მე-8 დავალების „ა“ ნაწილი საზოგადო და საკუთარი სახელებისგან კუთვნილებითი შინაარსის სიტყვების წარმოებას ისახავს მიზნად. აღნიშნული სავარჯიშო განამტკიცებს წინა გაკვეთილით ათვისებულ და ავითარებს მიმდინარე გაკვეთილით გათვალისწინებულ გრამატიკულ მასალას. „ბ“ ნაწილი ათვისებული გრამატიკისა და ლექსიკის აქტიურ გამოყენებას ისახავს მიზნად.

9. მე-9 დავალება ყოველდღიური მოხმარების ჰიგიენის საშუალებების, ტანსაცმლის, საჭირო ნივთების დამახსოვრებას ისახავს მიზნად. შემსწავლელს ამ ნივთების დამახსოვრებას გაუადვილებს სავარჯიშოს „ა“ და „ბ“ ნაწილების შესრულება, „გ“ კი ათვისებული ლექსიკის გააქტიურებისთვის არის საჭირო.

10. მე-10 სავარჯიშო წინა დავალებით ათვისებული ლექსიკის განმტკიცებას ისახავს მიზნად, ამისათვის შემსწავლელი ჯერ ისმენს აუდიოჩანაწერებს და მათი დეტალური გაგების შემდეგ წერს რელევანტურ წინადადებებს. დავალება ავითარებს მოსმენისა და წერის უნარებს.

11. მე-11 სავარჯიშო ტექსტის წაკითხვას, გააზრებას და შემდეგ დავალების შესრულებას მოითხოვს. სავარჯიშო განამტკიცებს და ამოწმებს გაკვეთილით გათვალისწინებული მასალის ცოდნას, ამასთანავე შემსწავლელს ეხმარება „ც“ ნაწილაკის ფუნქციის გაგებაში. „ც“ ნაწილაკის დანიშნულებას უფრო ნათელს ხდის სავარჯიშოს ბოლოს განთავსებული დაფაც.

12. მე-12 დავალება ეტიკეტის ათვისებას ემსახურება. იგი მოიცავს როგორც მიმართვის თავაზიანი ფორმების წარმოებას, ასევე „ხართ“ ფორმის ერთი თუ მრავალი პირის მიმართ გამოყენების სპეციფიკასაც.

13. მე-13 სავარჯიშო გაკვეთილით გათვალისწინებული მასალის ათვისებას ამოწმებს, აუდიოჩანაწერის დეტალური გაგება უნდა გახდეს საფუძველი პროდუცირებისა (ლაპარაკის) – შემსწავლელმა პასუხი უნდა გასცეს ტექსტის შესახებ დასმულ კითხვებს.

14. მე-14 დავალების მიზანია შემსწავლელმა გამოავლინოს გაკვეთილით გათვალისწინებული საკომუნიკაციო ფრაზების აგების უნარი, შეძლოს მარტივი წინადადებებით საკუთარ ოჯახზე საუბარი

რვეული

1. პირველი დავალების მიზანია სხეულისა და სახის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვების ცოდნის შემოწმება.

2. მე-2 დავალება გაკვეთილით გათვალისწინებული ზმნების სწორად გამოყენებას ამოწმებს. შემსწავლელმა წინადადების შინაარსის მიხედვით არამხოლოდ უნდა გამოიცნოს რომელი ზმნა უნდა ჩასვას წინადადებაში, არამედ იგი უნდა წარმოადგინოს სათანადო პირისა და რიცხვის ფორმებით.

3. მე-3 დავალება საუბრისა და წერის შემოწმებას ისახავს მიზნად. შემსწავლელმა ილუსტრაციებზე წარმოდგენილი პირების გარეგნობა უნდა აღწეროს და შემდეგ ეს წინადადებები დაწეროს. აღნიშნული სავარჯიშო ხელს უწობს ენის აქტიურ გამოყენებას, შემსწავლელს აჩვევს მარტივი წინადადებების აგებას.

4. მე-4 სავარჯიშო ამოწმებს ფერის გამომხატველი სიტყვების ცოდნასა და წერის უნარს.

5. მე-5 დავალების მიზანია ყოველდღიური საჭიროების ნივთების ქონის / არქონის შესახებ მტკიცებითი, უარყოფითი და კითხვითი წინადადებების ფორმულირება ზეპირად და წერით, ამ თემატიკის მარტივ დიალოგში მონაწილეობა.

6. მე-6 დავალება ათვისებული ზედსართავი სახელების ცოდნას ამოწმებს ომონიმური სიტყვების დაჯგუფების გზით.

7. მე-7 და მე-8 დავალებები ამოწებს მოსმენისა და წერის უნარებს. მე-7
8. სავარჯიშო წინადადებების, ხოლო მე-8 (შედარებით გართულებულია) დიალოგების გაგებას ითვალისწინებს. აუდიოჩანაწერების დეტალური გაგების შემდეგ შემსწავლელი წინადადებებში სვამს გამოტოვებულ სიტყვებს სათანადო ფორმით. აღსანიშნავია, რომ დიალოგი ეტიკეტური მეტყველებისა და ყოველდღიური სასაუბრო ფრაზების ნიმუშებს შეიცავს, რაც დამატებითი ინსტრუმენტია გაკვეთილით გათვალისწინებული მასალის შესაჯამებლად.

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

წიგნი

1. პირველი დავალება ეხება ყოველდღიურ საკომუნიკაციო ფრაზებს, ეტიკეტურ გამოთქმებს... ფოტოების მიხედვით შემსწავლელმა უნდა გამოიცნოს, რის შესახებაა საუბარი და წაიკითხოს შესაბამისი დიალოგები.

2. მე-2 დავალება გრამატიკულ მასალას აერთიანებს. ესენია წარმომავლობის ფორმების მისაღებად -**იდან** / -**დან** მაწარმოებლიანი, სივრცეში ორიენტაციისათვის -**ში** თანდებულიანი, ხოლო მოქმედების იარაღის აღსანიშნავად მოქმედებითი ბრუნვის ფორმათა წარმოება, ასევე მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვები, სიტყვათა ბრუნებისას ფუძის ყველა ფონეტიკური ცვლილება, „ჭამს“, „სვამს“, „სწავლობს“, „იბანს“, „იღვიძებს“, „იძინებს“, „მიდის“, „მოდის“ ზმნათა უღლება პირისა და რიცხვის მიხედვით, საათის ცნობასთან დაკავშირებით წინადადებების აგება. მასწავლებელს გრამატიკული მასალის სისტემატიზაციისთვის შეუძლია დაიხმაროს როგორც „გრამატიკული უნარები“, ისე „გრამატიკის მოკლე კურსი“ (ორივე განთავსებულია ვებგვერდზე www.geofl.ge).

3. მე-3 დავალების მიზანია -**იდან** / -**დან** მაწარმოებლების ფუძეების მიხედვით სწორად განაწილების ათვისება. სავარჯიშოს „ა“ ნაწილში შემსწავლელმა აღნიშნული დაბოლოებები მართებულად უნდა გამოიყენოს ქვეყნების დასახელებებთან, ხოლო „ბ“ ნაწილში სიტყვები უნდა დააჯგუფოს იმის მიხედვით, რომელთან გამოიყენება -**იდან** და რომელთან -**დან**. დავალება ხელს უწყობს დასწავლილი გრამატიკული მასალის პრაქტიკაში გამოყენებას, ცოდნის სისტემატიზაციას, წესის დამახსოვრებას.

4. მე-4 დავალების შესასრულებლად შემსწავლელმა პრაქტიკაში უნდა გამოიყენოს საათის ცნობასთან დაკავშირებით ნასწავლი გრამატიკული და ლექსიკური მასალა. სავარჯიშო ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას.

5. მე-5 სავარჯიშოს „ა“ დავალების შესასრულებლად შემსწავლელმა უნდა გამოიყენოს ჩამოთვლილი სიტყვებიდან შესაბამისი ვარიანტი. აღნიშნული დავალება ყოველდღიური საკომუნიკაციო ფრაზების პრაქტიკულ გამოყენებაში ავარჯიშებს შემსწავლელს. „ბ“ ნაწილის მიზანია, შემსწავლელმა მოისმინოს აუდიოჩანაწერი და თავად შეამოწმოს შესრულებული დავალების სისწორე. სავარჯიშო ხელს უწყობს კითხვის, წერისა და მოსმენის უნარების განვითარებას, ენის აქტიურ გამოყენებას.

6. მე-6 სავარჯიშოს მიზანია, შემსწავლელს მიაწოდოს ინფორმაცია დროისა და თარიღის გასაგებად კითხვების ფორმულირებისათვის, „რომელი“, „როდის“ სიტყვების გამოყენებით კითხვითი წინადადებების აგების წესისა და დროის დასახელების ვრცელი და მოკლე ავთენტიკური ვარიანტების შესახებ. სავარჯიშო ხელს უწყობს ენის პრაქტიკული გამოყენებისთვის საჭირო მასალის ათვისებას.

7. მე-7 დავალების მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს პირველი პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია წარმოადგინოს მეორე და მესამე პირში. აღნიშნული სავარჯიშო ხელს შეუწყობს ათვისებული გრამატიკული მასალის პრაქტიკულ გამოყენებას, ავითარებს კითხვისა და წერის უნარებს.

8. მე-8 სავარჯიშოს „ა“ ნაწილი ემსახურება გაკვეთილით ათვისებული მასალის პრაქტიკულ გამოყენებას. მისი შესრულებისას შემსწავლელი შეეხება სხვადასხვა გრამატიკულ საკითხს, ივარჯიშებს წინადადებების მართებულად ფორმულირებაზე. „ბ“ ნაწილი შემსწავლელისგან მოითხოვს როგორც გრამატიკული დავალების შესრულებას, ასევე ტექსტის დეტალური გაგების გზით საუბარს, გარეგნობის შესახებ წინა გაკვეთილით ათვისებული მასალის განმტკიცებას, გააქტიურებას, კითხვის, წერისა და ლაპარაკის უნარების განვითარებას.

9. მე-9 დავალების მიზანია კვირის დღეების, დროის ზმნიზედებისა და „არის“ ზმნის მომავალი და წარსული დროის ფორმების დასწავლა. სავარჯიშოს „ა“ ნაწილი ლექსიკასა და გრამატიკულ მასალას ახალი ტექსტით აწვდის შემსწავლელს, ეხმარება მას დროის აღნიშვნისას სწორი სიტყვაფორმების გამოყენების ათვისებაში. დასწავლის დამხმარე ინსტრუმენტს წარმოადგენს ილუსტრაცია. შემსწავლელს ევალება ტექსტის დეტალური გაგება. სავარჯიშოს „ბ“ ნაწილი „ა“-თი ათვისებული მასალის პრაქტიკაში გამოყენებას ითვალისწინებს, ავითარებს კითხვისა და წერის უნარებს.

10. მე-10 დავალების მიზანია გაკვეთილით ათვისებული მასალის პრაქტიკულად გამოყენება, ამა თუ იმ ღონისძიების შესახებ საჭირო ინფორმაციის მოპოვების უნარის განვითარება. შემსწავლელმა თეატრის აფიშის მიხედვით უნდა უპასუხოს კითხვებს. სავარჯიშო ავითარებს კითხვისა და წერის უნარებს.

11. მე-11 დავალება ელემენტარული საკომუნიკაციო ფრაზებით აგებული აუდიოჩანაწერის გაგებასა და მის მიხედვით კითხვებზე პასუხის გაცემას ითვალისწინებს. დავალება ამოწმებს გაკვეთილით ათვისებული მასალის ცოდნას, მოსმენისა და ლაპარაკის უნარებს.

რვეული

1. პირველი დავალების მიზანია შემსწავლელმა აუდიოჩანაწერის მიხედვით შეძლოს წინადადებებში სწორი ფორმით ჩასვას წარმომავლობის გამომხატველი სიტყვები.

2. მე-2 დავალება ავითარებს პირის შესახებ მარტივი ინფორმაციის გაცემის უნარს, განამტკიცებს ათვისებულ ლექსიკურ და გრამატიკულ მასალას.

3. მე-3 დავალება ითვალისწინებს წინადადების მიხედვით სიტყვის სათანადო ფორმის გამოცნობასა და დაწერას. სავარჯიშო იმითაა საინტერესო, რომ იგი მოიცავს სხვადასხვა ბრუნვის უთანდებულო და თანდებულიან ფორმებს.

4. მე-4 დავალება შემსწავლელს უვითარებს პირის იდენტიფიცირებისა და დღის რუტინის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და გაცემის უნარებს როგორც წერითი, ისე ზეპირი ფორმით. აღნიშნული არის პროდუცირების ტიპის შემაჯამებელი სავარჯიშო.

5. მე-5 დავალება პირის დღის გეგმის მიხედვით წინადადებების შედგენას ითვალისწინებს. სავარჯიშო ავითარებს კითხვისა და წერის შესაძლებლობებს, განამტკიცებს ყოველდღიური რუტინის შესახებ მარტივი ინფორმაციის გაცემის უნარს.

6. მე-6 დავალების მიზანია შემსწავლელმა ისწავლოს გრამატიკულად და შინაარსობრივად სწორი წინადადებების აგება. სავარჯიშო უნდა შესრულდეს სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული მასალის ათვისების შემდეგ. იგი ემსახურება საკომუნიკაციო უნარის განვითარებას. დავალების „ბ“ ნაწილი შემსწავლელს ეხმარება თავად აღმოაჩინოს დაშვებული შეცდომები.

7. მე-7 დავალება შემსწავლელს ავარჯიშებს გრამატიკული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაში, სხვადასხვა პირის შესახებ მარტივი წინადადებების ფორმულირებაში.

გაკვეთილი 9

წიგნი

1. პირველი დავალების მიზანია, შემსწავლელმა აითვისოს სვლის გამომხატველი ზმნის სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმების გამოყენებით გადაადგილების მიმართულების გამოხატვა, -ზე, -ში და -დან/-იდან თანდებულების გამოყენება მდებარეობის აღსანიშნავად.

2. მე-2 სავარჯიშოს „ა“ დავალების წასაკითხი ტექსტი გიორგის ერთი დღის რუტინის აღწერით ააქტიურებს მე-8 გაკვეთილით ათვისებულ ლექსიკურ და გრამატიკულ მასალას და ამასთანავე მოიცავს ახალ გრამატიკულ საკითხებსაც. გარდა ამისა, შემსწავლელი „ბ“ დავალების შესრულებისას ნაყოფიერად გამოიყენებს და, შესაბამისად, განამტკიცებს ცოდნას. სავარჯიშო ავითარებს კითხვისა და წერის უნარებს.

3. მე-3 დავალება სახალისოა. შემსწავლელმა პიქტოგრამებით მითითებული მიმართულებებით სვლის გამომხატველი ზმნები უნდა ჩასვას კროსვორდში. სავარჯიშო განამტკიცებს გრამატიკის ცოდნას.

4. მე-4 სავარჯიშოს მიზანია წელიწადის დროებისა და თვეების შესწავლა. წასაკითხი ტექსტი იმგვარადაა აგებული, რომ მარიამი საუბრობს წელიწადის დროების, თვეების, ამინდის შესახებ და გვაცნობს თავის საყვარელ წელიწადის დროსაც. სავარჯიშო მოითხოვს წასაკითხი ტექსტის გლობალურ და დეტალურ გაგებას, რადგან შემსწავლელმა უნდა გასცეს პასუხი ტექსტის შესახებ დასმულ კითხვებს, შეასრულოს კონკრეტული წერითი დავალება.

5. მე-5 დავალება შემსწავლელს აცნობს მიცემითი ბრუნვის ფორმებისა და -**ზე** და -**ში** თანდებულების გამოყენებას კონკრეტული თარიღის დასახელებისას წელიწადის დროების, თვეების, ზუსტი რიცხვების მითითებით. სავარჯიშო ასევე მოიცავს სიხშირის სკალას მოქმედების სიხშირის გამომხატველი ზმნიზედების ზუსტი სემანტიკის მარტივად ასათვისებლად. დავალება მასში მოცემული მაგალითებით ხელს შეუწყობს შემსწავლელს ამ არცთუ მარტივი მასალის იოლად ათვისებაში.

6. მე-6 დავალება შემსწავლელს განუმტკიცებს მე-5 სავარჯიშოთი ათვისებულ გრამატიკულ და ლექსიკურ მასალას.

7. მე-7 დავალება ლექსიკაზე ვარჯიშს ითვალისწინებს და განამტკიცებს მე-5 დავალებით ნასწავლ მასალას.

8. მე-8 დავალების მიზანია შემსწავლელმა აითვისოს ელიფსური წინადადების სპეციფიკა, რათა მას გაუადვილდეს ყოველდღიური კომუნიკაციისას მსგავსი წინადადებების შინაარსის გაგება და თვითონაც გამოიყენოს ისინი.

9. მე-9 და მე-10 დავალებების მიზანია თვისების შედარების კონსტრუქციების
10. გაცნობა-დასწავლა. სავარჯიშოებში მოცემული ილუსტრაციები წარმოადგენს დამხმარე ინსტრუმენტს დავალების უკეთ გასაგებად.

11. მე-11 დავალება შემსწავლელს გააცნობს დროში თანამიმდევრობის გამოხატვის საშუალებას „შემდეგ“ სიტყვის გამოყენებით. სავარჯიშო ითვალისწინებს როგორც კითხვის, ისე წერის უნარების განვითარებას.

12. მე-12 დავალების მიზანია, შემსწავლელმა აითვისოს რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება და პრაქტიკულად გამოიყენოს თავისი ცოდნა სავარჯიშოს „ბ“ ნაწილის შესრულებისას.

13. მე-13 დავალება ეთმობა წონის ერთეულებს, ამასთანავე შემსწავლელი გაიმეორებს წინა დავალებით ათვისებულ თვისების შედარების კონსტრუქციებს.

14. მე-14 დავალების მიზანია, ქართული კუპიურების გაცნობა და ფასის გაგებასა თუ ყიდვასთან დაკავშირებული ლექსიკური მასალის ათვისება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

15. მე-15 სავარჯიშოს „ა“ დავალება განკუთვნილია წასაკითხად და მასში გავრცობილია ყიდვასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო ფრაზები, ასევე წინაა წამოწეული ფერების გამოყენება. სავარჯიშოს „ბ“ ნაწილი ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას მოითხოვს. დავალება ავითარებს კითხვისა და წერის უნარებს.

16. მე-16 დავალება შემსწავლელისგან მოითხოვს ტექსტის ყურადღებით წაკითხვას და ანტონიმების ამოწერას. აღნიშნული სავარჯიშო მას განუმტკიცებს ლექსიკის ცოდნას. დავალების ბლოკში მოცემულია ტექსტში გამოყენებული „იქნება“ ფორმისა (ვარაუდის გამოსახატავად) და „თუ“ კავშირის (ალტერნატივა) ახსნაც. სავარჯიშო ორიენტირებულია წერისა და კითხვის უნარების განმტკიცებაზე.

17. მე-17 დავალება შედგება რამდენიმე ნაწილისგან და იგი მოიცავს გაკვეთილით ათვისებულ ლექსიკურ თუ გრამატიკულ მასალას. სავარჯიშო ამოწმებს მოსმენისა და წერის უნარებს, ენის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობას.

რვეული

1. პირველი დავალება ამოწმებს, თუ რამდენად კარგად გაიგო და აითვისა შემსწავლელმა სიარულის გამომხატველი სიტყვის სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმების გამოყენება.

2. მე-2 დავალება დროის გამოსახატავად კვირის დღეების, თვეების, წელიწადის დროებისა თუ საათის მითითებისას მიცემითის უთანდებულო თუ -ზე და -ში თანდებულიანი ფორმების მართებულ გამოყენებას ამოწმებს. სავარჯიშო ამოწმებს ათვისებული გრამატიკული მასალის საკომუნიკაციოდ გამოყენების შესაძლებლობასაც და კითხვისა და წერის უნარებსაც.

3. მე-3 დავალება ააქტიურებს თვისების შედარების კონსტრუქციების გამოყენებას, განამტკიცებს ათვისებულ ლექსიკურ ცოდნას და ავითარებს მოსმენის, კითხვისა და წერის უნარებს.

4. მე-4 დავალება პროდუცირების ტიპისაა და შემსწავლელისგან მოითხოვს პირთა გარეგნობის აღსაწერად შედარების კონსტრუქციების გამოყენებას. სავარჯიშო ავითარებს ლაპარაკის უნარს.

5. მე-5 დავალება ასევე ეძღვნება შედარების კონსტრუქციების გამოყენებით წინადადებების შედგენას. სავარჯიშო ითვალისწინებს ახლად ათვისებულ ლექსიკურ მასალაც. სავარჯიშო ავითარებს წერის უნარს.

6. მე-6 დავალება შემსწავლელს ავარჯიშებს რიგობითი რიცხვითი სახელების გამოყენებაში, ამასთანავე განამტკიცებს კვირის დღეების, წელიწადის დროების, თვეების ცოდნას.

7. მე-7 სავარჯიშო ავითარებს მოსმენისა და კითხვის უნარებს, აერთიანებს გაკვეთილით ათვისებულ გრამატიკულ და ლექსიკურ ცოდნას, ამოწმებს შემსწავლელის მიერ საჭირო მასალის პრაქტიკულ ფლობას.

8. მე-8 დავალება ამოწმებს როგორც მე-9, ისე მე-8 გაკვეთილის გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას, ავითარებს კითხვისა და წერის უნარებს.

9. მე-9 დავალება ეთმობა ლაპარაკის უნარის განვითარებას და შემსწავლელს მისთვის ნაცნობი სამი თემიდან ერთ-ერთზე საუბარს სთხოვს. სავარჯიშოს შესრულებისას, სასურველია, მასწავლებელმა აქცენტი გააკეთოს მიღწეულ პროგრესზე, ხოლო დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით დამატებით იმუშაოს შესაბამის მასალაზე ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

წიგნი

1. პირველი დავალების მიზანია, შემსწავლელმა აითვისოს არაოფიციალური ინტერნეტწერილის სტრუქტურა, გაეცნოს ქართულ ქვეყანათმცოდნეობით და კულტურულ ასპექტებს, ამასთანავე გაიაქტიუროს ყოველდღიური საკომუნიკაციო ფრაზები, შეძლოს მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემა. სავარჯიშო ითვალისწინებს კითხვისა და ლაპარაკის უნარების განვითარებას, ათვისებული გრამატიკული და ლექსიკური მასალის გამეორება-განმტკიცებას.

2. მე-2 დავალება შემსწავლელისგან მოითხოვს წაკითხული ტექსტის იმგვარ გაგებას, რომ მან შეძლოს დიალოგის დანაწევრებული სეგმენტების სწორი თანამიმდევრობით დალაგება. აღნიშნული სავარჯიშო ეფუძნება წაკითხული ტექსტის ისეთ დეტალურ გაგებას, რომ შემსწავლელს შეექმნას შთაბეჭდილება რის შესახებაა ზოგადად საუბარი, გაიაზროს იგი და მიხვდეს საუბრის ლოგიკურ თანამიმდევრობას.

3. მე-3 დავალების მიზანია, შემსწავლელმა აითვისოს ახლანდელი, წარსული და მომავალი დროები, ისწავლოს ამ დროებისა და სამივე პირის მხოლოობითი და მრავლობითი რიცხვების გათვალისწინებით „არის“, „მიდის“ (სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმების მიხედით), „ერთობა“, „მუშაობს“, „მოსწონს“... ზმნების უღლება. სავარჯიშო ასევე მოიცავს „მიდის“ ზმნის ახლანდელი და მომავალი დროის მნიშვნელობით სხვაობის სპეციფიკასაც.

4. მე-4 დავალება ააქტიურებს მე-3 დავალებით ათვისებულ გრამატიკულ მასალას, ავარჯიშებს შემსწავლელს წერაში.

5. მე-5 დავალება ასევე გრამატიკული ხასიათისაა. გაკვეთილით გათვალისწინებული მასალის უკეთ ათვისებისა და მისი საკომუნიკაციო დანიშნულებით თავისუფლად გამოყენების მიზნით სავარჯიშო შემსწავლელს სთხოვს წაიკითხოს და ზუსტად მიხვდეს წინადადებები რომელ გრამატიკულ დროს გამოხატავს.

6. მე-6 სავარჯიშოს წასაკითხი ტექსტი გათვლილია როგორც დეტალურ, ისე გლობალურ გაგებაზე. ამასთანავე იგი ააქტიურებს პირის იდენტიფიკაციასა და საქმიანობასთან, პროფესიასთან დაკავშირებულ მასალას, შემოაქვს ქვეყანათმცოდნეობითი ასპექტები, ლანდშაფტთან დაკავშირებული ლექსიკა, ავითარებს ლაპარაკის უნარს.

7. მე-7 დავალება მე-6 სავარჯიშოში წარმოდგენილი ახალი ლექსიკის ათვისება-განმტკიცებას ისახავს მიზნად.

8. მე-8 დავალების მიზანია, შემსწავლელმა უკვეთ აითვისოს ლექსიკა ანტონიმებზე მუშაობის გზით.

9. მე-9 დავალება აერთიანებს ახალ გრამატიკულ და ლექსიკურ მასალას. ესენია: ჰორიზონტის მხარეები (მათი ფორმები მიმართულების ჩვენებისას), ერთიანობის, ალტერნატივისა და არჩევითობის გამოხატვა „და“, „თუ“ და „ან“ კავშირებით, გაურკვეველი სიმრავლის აღმნიშვნელ სიტყვებთან საზღვრული წევრის რიცხვისა და ასეთ შემთხვევაში ზმნისა და სახელის რიცხვში შეთანხმების საკითხები, „-ჯერ“ მაწარმოებლით ქმედების სიხშირის გამოხატვა, „იმუშავებს“, „ისწავლის“, „იქნება“, „ექნება“ ზმნების სამივე პირის მხოლობით და მრავლობით რიცხვებში უღლება, „რატომ“, „იმიტომ“ და „იმიტომ, რომ“... სიტყვების გამოყენებით კითხვითი და მიზეზის დამოკიდებული წინადადებების წარმოების წესი...

10. მე-10 სავარჯიშო ამოწმებს შემსწავლელის მიერ გაკვეთილით გათვალისწინებული მასალის ათვისებას.

11. მე-11 დავალება პრაქტიკული ხასიათისაა და მოსმენილი ინფორმაციის მიხედვით კონკრეტული ადგილის პოვნას ისახავს მიზნად. ამას გარდა, სავარჯიშო ამოწმებს მოსმენის უნარს.

12. **13.** მე-12 და მე-13 დავალებები წარმომავლობის / სადაურობის სახელთა წარმოების დასწავლას ისახავს მიზნად. მე-12 სავარჯიშოში სქემებით მოცემული მასალის ათვისების შემდეგ შემსწავლელმა ცოდნის განმტკიცების მიზნით უნდა შეასრულოს მე-13 დავალება.

14. მე-14 სავარჯიშოს მიზანია წინა და მიმდინარე გაკვეთილებით ათვისებული მასალის გამოყენებით საუბრის უნარის განვითარება, მარტივ კითხვებზე პასუხების გაცემაში ვარჯიში.

15. მე-15 დავალების მიზანია, შემსწავლელი ავარჯიშოს სადაურობის სწორი ფორმის გამოყენებაში (-ელ თუ -ურ?). სავარჯიშო ავითარებს კითხვისა და წერის უნარებს.

16. **17.** მე-16 და მე-17 დავალებების მიზანია სარეგისტრაციო კითხვებისა და ანკეტების გაგებისა თუ შევსების უნარების განვითარება. სავარჯიშოები ენის პრაქტიკაში გამოყენებას ისახავს მიზნად, ავითარებს კითხვისა და წერის უნარებს.

რვეული

1. პირველი დავალების მიზანია, შემსწავლელმა ივარჯიშოს ზმნების მართებული პირის, რიცხვისა და დროის ფორმით გამოყენებაში.

2. მე-2 დავალება ააქტიურებს სახელმძღვანელოთი ათვისებულ გრამატიკულ მასალას, კერძოდ, ზმნების დროისა, პირისა და რიცხვის მიხედვით უღლებას. სავარჯიშო ხელს უწყობს ცოდნის სისტემატიზაციას.

3. მე-3 დავალება ავითარებს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს. შემსწავლელმა აუდიომასალის დეტალური გაგების შემდეგ უნდა შეავსოს დიალოგში გამოტოვებული სიტყვები. ეს ერთი მხრივ, მოსმენისა და წერის უნარებს განამტკიცებს, მეორე მხრივ, ააქტიურებს გაკვეთილით ათვისებულ გრამატიკასა და ლექსიკას.

4. მე-4 დავალების მიზანია „და“, „თუ“ და „ან“ კავშირების სწორი გამოყენების შემოწმება. აღნიშნული სავარჯიშო შემსწავლელს გაავარჯიშებს დაკავშირების, ალტერნატივისა და არჩევითობის გამოხატვაში.

5. მე-5 დავალება დიალოგური მეტყველების განვითარებას უწყობს ხელს. შემსწავლელმა კითხვის მიხედვით უნდა დაწეროს ელიფსური მიზეზის დამოკიდებული წინადადებები, სწორედ ისეთი, როგორიც მას ბუნებრივი საუბრისას აუცილებლად დასჭირდება.

6. მე-6 დავალების მიზანია წარმომავლობის სიტყვების სწორი გამოყენების დასწავლა, ამასთანავე მოსმენისა და წერის უნარების განვითარება.

7. მე-7 დავალების მიზანია შემსწავლელმა გაიხსენოს წინა გაკვეთილებით ათვისებული რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები და მიმდინარე გაკვეთილით ნასწავლი ჯერობის გამოხატვა, შეძლოს მათი სემანტიკის კარგი გამიჯვნა და წინადადებებში მართებული გამოყენება.

8. მე-8 დავალების მიზანი აქტიური პროდუცირებაა. შემსწავლელმა თავად უნდა მოიფიქროს ანკეტური ინფორმაციის შესაგროვებლად საჭირო კითხვები, დაუსვას მეგობარს და შემდეგ შეადგინოს (ჩაწეროს) ანკეტა. სავარჯიშო ავითარებს ლაპარაკისა და წერის უნარებს.

9. მე-9 დავალების მიზანი სადაურობის / წარმომავლობის სახელების წარმოებაზე ვარჯიშია. სავარჯიშო ავითარებს წერის უნარს.

10. მე-10 დავალების მიზანია შემსწავლელმა ისაუბროს დასვენების (შვებულების, არდადეგების) შესახებ ნასწავლი ლექსიკისა და გრამატიკის გამოყენებით, შეძლოს დასვენების (შვებულების, არდადეგების) თაობაზე კომუნიკაციაში მონაწილეობა, მარტივი ინფორმაციის გაცემა. სასურველია, თუ მასწავლებელი შემსწავლელს მისცემს საშუალებას დამოუკიდებლად ისაუბროს.

11. მე-11 დავალების მიზანია არაფორმალური წერილის შედგენაზე ვარჯიში, წერის უნარის განვითარება. სასურველია, მასწავლებელმა დაშვებული შეცდომები გამოიყენოს ხარვეზების აღმოსაფხვრელად, სუსტი ადგილების აღმოსაჩენად და შემდგომი მუშაობის დასაგეგმად.

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

წიგნი

1. პირველი დავალება ორიენტირებულია დეტალურ გაგებაზე და ყველა იმ ახალი ლექსიკური ერთეულისა თუ გრამატიკული მასალის გაცნობაზე, რომლებიც გააქტიურებულია მიმდინარე გაკვეთილის შემდგომ სავარჯიშოებში. ტექსტი ითვალისწინებს: სახლის, ოთახების, ბაღის აღწერილობას, ასევე ათასეულების გამომხატველი რიცხვითი სახელების დასწავლასა და დაბადების თარიღის შესახებ ინფორმაციის მიღებაგაცემას. უცნობი ლექსიკური ერთეულების ამოწერით და შემდეგ ლექსიკონის წარმოებით შემსწავლელი დამატებით ვარჯიშობს ამ სიტყვების დამახსოვრებაზე.

2. მე-2 დავალების ბლოკი გრამატიკული მასალის გაცნობა-ათვისებას ემსახურება. მასში წარმოდგენილია „ცხოვრობს“, „გზავნის“, „საუბრობს“, „უყვარს“, „ჰქვია“ ზმნების უღლება პირისა და რიცხვის მიხედვით სხვადასხვა დროში, ასევე „დაიბადა“ ზმნის რიცხვისა და პირის ფორმები; ადგილის ზმნიზედები: **ქვემოთ**, **ზემოთ**, **უკან**, **წინ**, **მარჯვნივ**, **მარცხნივ**; ათასეულების გამომხატველი რაოდენობითი რიცხვითი სახელების წარმოება, თარიღის დასახელების წესი; **-ვე** და **-ც** ნაწილაკების გამოყენება; აბსოლუტური უარყოფის გამოხატვა **არც**.., **არც**... ფორმულის გამოყენებით. სასურველია, მასწავლებელმა შესაბამისი გრამატიკული მასალა მოამზადოს როგორც „გრამატიკული უნარების“, ისევე მასწავლებლებისთვის განკუთვნილია „ქართული ენის გრამატიკის მოკლე კურსის“ მიხედვით (ორივე ატვირთულია ვებგვერდზე www.geofl.ge).

3. მე-3 და მე-4 დავალებების მიზანია, შემსწავლელმა ივარჯიშოს და უკეთ
4. აითვისოს რაოდენობითი რიცხვითი სახელები. თუ მე-3 სავარჯიშო მხოლოდ კითხვაზეა ორიენტირებული, მე-4-ში ყურადღება გამახვილებულია მოსმენასა და წერაზე.

5. მე-5 დავალება პირის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი ინფორმაციის, კერძოდ, დაბადების თარიღის დასახელებასა და წერას ითვალისწინებს.

6. მე-6 დავალება კვლევ აგრძელებს პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ლექიკურ-გრამატიკული ცოდნის გაფართოებას, ამჯერად ყურადღება გამახვილებულია არამხოლოდ დაბადების თარიღზე, არამდე ადგილზეც. სავარჯიშო ითვალისწინებს როგორც რეცეფციას, ასევე პროდუცირებას.

7. მე-7 სავარჯიშო გრამატიკულ ბლოკს წარმოადგენს და მასში წარმოდგენილია **-ში** თანდებულის გამოყენების წესი ქვეყნების დასახელებებთან. აღნიშნული დავალება შემსწავლელს დაეხმარება იმ ცოდნის მოპოვებაში, რომელიც საჭიროა იდენტიფიცირებისას დაბადების ადგილის (ქვეყნის) დასახელებისთვის.

8. მე-8 სავარჯიშო მიმდინარე გაკვეთილით გათვალისწინებული გრამატიკული მასალის ათვისების ხარისხს ამოწმებს – შემსწავლელმა ორი ვარიანტიდან უნდა ამოარჩიოს გრამატიკულად სწორი წინადადება.

9. მე-9 დავალება სახალისო და კომპლექსურია. ტექსტის მიხედვით შემსწავლელმა ჯერ უნდა შეარჩიოს წინადადებებისთვის შესაბამისი ზმნური ფორმები (პირის, რიცხვისა და დროის გათვალისწინებით), ჩაწეროს წინადადებებში გამოტოვებულ ადგილებზე, შემდეგ კი ამ ფორმების ციფრების მიხედვით შეავსოს კროსვორდი და გამოიცნოს, ვინ საუბრობს.

10. მე-10 დავალება ლექსიკას ეძღვნება. იგი შემსწავლელს დაეხმარება ათვისებული სიტყვების გააქტიურებაში.

11. მე-11 დავალების მიზანია შემსწავლელმა სიტყვის განსაზღვრებები სწორად შეარჩიოს. აღნიშნული სავარჯიშო ლექსიკის მართებულ გამოყენების უნარს გაუვარჯიშებს შემსწავლელს.

12. მე-12 დავალების მიზანია დროის პერიოდისა და გეოგრაფიულ პუნქტებს შორის შუალედის გამოხატვის დასწავლა, **-იდან** / **-დან** ... **-ამდე** / **-მდე** სუფიქსების სწორი გამოყენების ათვისება.

13. მე-13 სავარჯიშო წინა (მე-12) დავალებით ათვისებული გრამატიკული მასალის პრაქტიკაში გამოყენებას ისახავს მიზნად.

14. მე-14 დავალება ლაპარაკის უნარის განვითარებას ისახავს მიზნად. სავარჯიშოს შესასრულებლად შემსწავლელმა ლექსიკისა და გრამატიკის ცოდნა ენის პრაქტიკული გამოყენებით უნდა გამოხატოს.

რვეული

1. პირველი დავალების მიზანია გაკვეთილით ათვისებული ლექსიკის გამოყენებით შემსწავლელმა შეძლოს მარტივი წინადადებების შედგენა. საკუთარი ან სხვისი სახლის შესახებ ინფორმაციის მიღება და გაცემა.

2. მე-2 დავალება გრამატიკული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზეა ორიენტირებული. შემსწავლელმა სწორი ფორმით უნდა იხმაროს სათანადო ზმნა. აღნიშნული სავარჯიშო არამარტო ავითარებს პროდუცირების უნარს, არამედ ხელს უწყობს კითხვისა და წერის გაუმჯობესებას.

3. მე-3 დავალების მიზანია შემსწავლელმა სწორად შეძლოს „-ც“ და -„ვე“ ნაწილაკების გამოყენება, შეძლოს მათი სხვაობის ათვისება ანალიზის საშუალებით.

4. მე-4 დავალება რთული რიცხვითი სახელების პრაქტიკულ გამოყენებაზე ვარჯიშს ისახავს მიზნად. სავარჯიშო ავითარებს მოსმენის უნარს, შემსწავლელს ეხმარება იმ სირთულის გადალახვაში, რომელიც რთული რიცხვითი სახელების მოსმენით სწორად აღქმას უკავშირდება.

5. მე-5 სავარჯიშო ხელს უწყობს წინა გაკვეთილით შესწავლილი გრამატიკული მასალის, კერძოდ, თვისების ხარისხის „უფრო“ და „ყველაზე“ სიტყვების გამოყენებით განმტკიცებას.

6. მე-6 დავალება ზედსართავ სახელებზე მუშაობას ემსახურება. შემსწავლელი ანტონიმური მნიშვნელობის სიტყვების მოფიქრებით კიდევ უფრო განამტკიცებს თავის ცოდნას.

7. მე-7 სავარჯიშო **და**, **ან**, **თუ** და **არც** კავშირების სწორად გამოყენებას უწყობს ხელს. შემსწავლელმა ტექსტში საჭირო ადგილას უნდა ჩასვას სათანადო კავშირი. აღნიშნული დავალება ენის პრაქტიკულ გამოყენებას უწყობს ხელს, ავითარებს წერისა და კითხვის უანრებს.

8. მე-8 დავალება აჯამებს მიმდინარე და წინა გაკვეთილებით ათვისებულ გრამატიკულ ცოდნას, კერძოდ, ამა თუ იმ ბრუნვის თანდებულიანი და უთანდებულო ფორმების, ასევე ნაწილაკების მართებულ გამოყენებას. სავარჯიშოს შესრულების შემდეგ თვითშემოწმებისათვის შემსწავლელმა უნდა მოისმინოს აუდიოჩანაწერი და თავად შეამოწმოს მისი სისწორე. აღნიშნული დავალება ხელს უწყობს კითხვის, წერისა და მოსმენის უნარების განვითარებას.

9. მე-9 დავალება ასევე ემსახურება ენის პრაქტიკულად გამოყენებას, გრამატიკული ცოდნის შემოწმებას, ამასთანავე პირის იდენტიფიკაციის, მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და გაცემის უნარების განმტკიცებას. სავარჯიშო კითხვის, წერისა და ლაპარაკის განვითარებას უწყობს ხელს.

10. მე-10 დავალება ხელს უწყობს მონოლოგის წარმართვისა და დიალოგში მონაწილეობის უნარების განვითარებას, ენის პრაქტიკაში გამოყენებით ააქტიურებს და აჯამებს მიმდინარე თუ წინა გაკვეთილებით ათვისებულ მასალას.

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

წიგნი

1. პირველი დავალების მიზანია პროფესიის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და გაცემის უნარის განვითარება, ამისათვის საჭირო ლექსიკური და გრამატიკული მასალის გაცნობა. სავარჯიშო ერთდროულად მოითხოვს რეცეფციასა (კითხვას) და პროდუცირებას (ლაპარაკი).

2. მე-2 სავარჯიშო გრამატიკულ ბლოკს წარმოადგენს. მასში მოცემულია ზმნისგან შესაბამისი საწყისის მიღება; **შეუძლია**, **იცის**, **ზის** და **დგას** ზმნების უღლება; შესაძლებლობის (უნარის) გამოხატვის საშუალებები; ეტიკეტური სიტყვები და გამოთქმები.

3. მე-3 დავალება ათვისებული გრამატიკული მასალის განმტკიცებას ისახავს მიზნად.

4. მე-4 სავარჯიშო გრამატიკული ბლოკია და წილობითი რიცხვითი სახელების წარმოებას მოიცავს. დავალებაში მასლა წარმოდგენილია იმგვარი ფორმით, რომ შემსწავლელს გაუადვილდეს დამახსოვრება.

5. მე-5 სავარჯიშო წინა დავალებით ათვისებული გრამატიკული მასალის პრაქტიკულ გამოყენებას ემსახურება.

6. მე-6 დავალება შემსწავლელისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო ინფორმაციის გაცემაში გაწაფვას ისახავს მიზნად. მან უნდა ისაუბროს და შემდეგ დაწეროს რა შეუძლია, რა იცის და რა უნდა.

7. მე-7 სავარჯიშო აჯამებს რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელების შესახებ ცოდნას, შემსწავლელისგან მოითხოვს მათ სწორად გამოყენებას.

8. მე-8 დავალება ტექსტში გამოყენებული რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელების პოვნასა და სწორად დაჯგუფებას მოითხოვს. აღნიშნული სავარჯიშო განამტკიცებს რიცხვითი სახელების შესახებ ათვისებულ მასალას, ხელს უწყობს კითხვისა და წერის უნარების განვითარებას.

9. მე-9 დავალების მიზანია ჩვენებითი ნაცვალსახელების („ეს“ და „ის“) ბრუნების შესწავლა. სახელმძღვანელოთი გათვალისწინებულ სხვადასხვა ბრუნვის ფორმებთან მათი გამოყენების შემსწავლელისთვის გაცნობა.

10. მე-10 და მე-11 დავალებები მე-9 სავარჯიშოთი ათვისებული გრამატიკული
11. მასალის პრაქტიკულ გამოყენებაზეა ორიენტირებული.

12. მე-12 დავალება მე-11 გაკვეთილით ათვისებული მასალის გამეორებასთან ერთად მიმდინარე გაკვეთილით შესწავლილი ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნვის ფორმების მართებულად გამოყენებასაც განამტკიცებს. სავარჯიშო წერის უნარის განვითარებას ემსახურება.

13. მე-13 დავალების მიზანია კითხვის, წერისა და ლაპარაკის უნარების განვითარება, პირის საანკეტო მონაცემების შესახებ ინფორმაციის მიღებასა და გაცემაზე ვარჯიში.

14. მე-14 სავარჯიშო მოსმენისა და წერის უნარების განვითარებას ემსახურება. ამასთანავე ამოწმებს შემსწავლელის მიერ ენის საკომუნიკაციო დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას, აჯამებს სახელმძღვანელოთი ათვისებულ მასალას.

15. ე-15 სავარჯიშო ფრაგმენტების იმგვარ გაგებას ისახავს მიზნად, რომ მან შეძლოს მათი ერთიან ტექსტად გააზრება, ლოგიკური თანამიმდევრობის გააზრება და, შესაბამისად, მათი სწორად დალაგება.

16. მე-16 დავალება აუდიოჩანაწერის დეტალურ გაგებაზეა ორიენტირებული, ამასთანავე აჯამებს გაკვეთილით ათვისებულ მასალას.

17. მე-17 დავალების მიზანია ლაპარაკის უნარის შემოწმება, ამასთანავე შემსწავლელის მიერ იმაზე დაფიქრება, თუ რა ენობრივი უნარი განუვითარდა მას და რა საკომუნიკაციო შესაძლებლობა განუვითარდა ენის ფლობის შესაბამისი დონის გავლის შემდეგ. აღნიშნული სავარჯიშო გარკვეულწილად თვითშეფასების როლსაც ასრულებს.

რვეული

1. პირველი დავალების მიზანია, შემსწავლელმა განამტკიცოს ეტიკეტური სიტყვებისა და გამოთქმების ცოდნა, რათა სიტუაციის შესაბამისად შეძლოს მათი სათანადო გამოყენება.

2. მე-2 დავალების მიზანია რიცხვში მონაცვლე ზმნების ათვისება.

3. მე-3 დავალება წილობითი რიცხვითი სახელების გამოყენებაზეა ორიენტირებული და ემსახურება ცოდნის განმტკიცებას.

4. მე-4 სავარჯიშოს „ა“ და „ბ“ დავალებები ჩვენებითი ნაცვალსახელების სხვადასხვა ბრუნვაში სწორად გამოყენების უნარს განამტკიცებს, შემსწავლელს ეხმარება გრამატიკულად გამართული წინადადებების ფორმულირებაში.

5. მე-5 სავარჯიშო მოსმენისა და ლაპარაკის უნარების განვითარებას ემსახურება, ამასთანავე ავარჯიშებს შემსწავლელს ცოდნის, შესაძლებლობისა და სურვილის შესახებ ინფორმაციის მიღებასა და გაცემაზე.

6. მე-6 დავალება აჯამებს სახელმძღვანელოთი ათვისებულ უთანდებულო თუ თანდებულიანი ბრუნვების სათანადო გამოყენების სპეციფიკას მათი სხვადასხვა ფუნქციის გათვალისწინებით.

7. მე-7 დავალება გამიზნულია დამოუკიდებელი მუშაობისთვის, კერძოდ, შემსწავლელს ევალება ვინაობის, წარმომავლობის, დაბადების ადგილისა და თარიღის, ოჯახისა და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ მონაცემებით ანკეტის შევსება. აღნიშნული სავარჯიშო შემსწავლელს განუმტკიცებს სახელმძღვანელოთი ათვისებულ მასალას.

8. მე-8 დავალება ინფორმაციის დეტალურ გაგებას ითვალისწინებს. შემსწავლელმა აუდიოჩანაწერის მოსმენის შემდეგ უნდა უპასუხოს კითხვებს. დავალება ავითარებს საკომუნიკაციო უნარებს.

9. მე-9 დავალება ტექსტის ნაწილების გლობალურ და დეტალურ გაგებას მოითხოვს, ავითარებს კითხვის უნარს.

10. მე-10 სავარჯიშოს მიზანია დიალოგის წარმართვისა და მასში მონაწილეობის უნარების განვითარება. ისეთ თემებზე საუბრის განმტკიცება, როგორებიცაა სწავლა და მუშაობა.

www.geofl.ge